# საარბიელო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ორშაბათი 26 თებერვალი 2007 №42 (2965) ფასი 50 თეთრი

## დროგ-ბაჩ!

### მაურინიუს და ვენგერის სიტყვებით დაწყებული საქმით გაგრძელდა



ჟოზე მაურინიუმ და არსენ ვენგერმა ფინალის წინ ერთმანეთს მწარ-მწარე სიტყვები რომ აკადრეს, ფინალის ბოლო წუთებზე მოედანზე შევიდნენ და შეხმატკბილებულად დაუწყეს დაშოშმინება თავიანთ ფეხბურთელებს...

ვითარების დაძაბვა დიდიე დროგბას მეორე გოლმა გამოიწვია. 90 წუთის გასრულებას ბევრიც არაფერი უკლდა, როცა კოტდივუარელმა დიდებული გოლი შეაგდო — „მეთოფეებმა" მიკაელ ესიენი სათანადოდ ვერ ამოკეტეს და ბურთი იოლად მიაღებინეს, მანაც არიენ რობენი მონახა, ვინც საგოლე პასი გაუკეთა დროგბას, რომელმაც მარცხენა დაბალ კუთხეში გაუტანა მანუელ ალმუნიას და ამ გოლით გადაწყვიტა ლიგის თასის ბედი...

*იხილეთ მეთერთმეტე გვერდი*

## ჩელსი 2:1 არსენალი



## ვნახეთ ის, რაც არ გვენახა



ბაჩო კორძაიას ფოტო

„ავიამშენმა" „აზოტთან" მართლაც რომ იფრინა

### ავიამ და შერმადინმა შეუძლებელი შეძლეს

დაუმარცხებელი და ნაუქცეველი ამქვეყნად რომ არავინაა, ამ აქსიომის დამტკიცება „ავიამშენმაც" შეძლო. მე-16 საკალათბურთო ჩემპიონატში შაბათამდე უძლეველ და ლამის უკვე ჩემპიონად შერაცხულ რუსთავის „აზოტს" ავიელებმა მარცხის სიმწარე პირველად აწვნიეს და ჩემპიონატს ინტრიგა დაუბრუნეს, საკუთარ თავს კი რწმენა. რა მოხდება პლეი ოფში, ეს ახლა არავინ უწყის, მაგრამ დღევანდელი შედეგი საინტერესო პლეი ოფს კი ნამდვილად გვპირდება.

შაბათსვე ვერის ბაღში ერთი საინტერესო რამ დაფიქსირდა: კიდევ ერთ ამბიციურ გუნდთან, თსუ-სთან აუტსაიდერმა „მაკაბიმ" კი ნააგო, მაგრამ დამარცხებულთა ახალგაზრდა ლიდერმა გიორგი შერმადინმა 52 ქულა მოიხვეჭა და ჩემპიონატის რეკორდი დაამყარა.

# ფედერაციამ ამერიკიდან ბრიტანეთში გადაინაცვლა




საქართველოს ნაკრები 22 აგვისტოს ბრაზილიის ნაცვლად ამხანაგურად შესაძლოა, ხორვატიას ან უელსს გაეჯიბროს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მოლაპარაკებები უკვე დაიწყო და საბოლოო სიტყვა სავარაუდოდ აპრილის დამდეგს უნდა ითქვას. ერთი კი ახლავე შეთანხმებულია, ამხანაგური მატჩი თბილისში შედგება.

ცხადია, მომავალი მეტოქის შერჩევა პირველ რიგში ეროვნული გუნდის მწვრთნელის საქმეა და ის ამბობს, უელს-ხორვატიას შორის უფრო სასურველი ბრიტანელებთან თამაში იქნებაო. კლაუს ტოპმიოლერი მიიჩნევს, რომ უელსელების თამაშის მანერა უკრაინელებისას ჩამოჰგავს და შესარჩევი მატჩის წინ ბრიტანელებთან შეხვედრა სარეპეტიციოდ გამოდგება. უკრაინას კი საქართველო 3 სექტემბერს დაუხვდება.

მოკლედ, ჩვენი ნაკრებისთვის საზაფხულო ამხანაგური მეტოქის ვინაობა ევროშესარჩევში შოტლანდიასთან 24 მარტის თამაშის მერე გაირკვევა. ფედერაციას ხორვატიისა და უელსის გარდა, თბილისში პორტუგალიისა და ესპანეთის ჩამოყვანის შანსიც აქვს, მაგრამ საქმეს ის ართულებს, რომ ამხანაგური მატჩისთვის ორივე, ბრაზილია-არგენტინის მსგავსად, საგანგებო ჰონორარს ითხოვს. თუმცა სამხრეთამერიკელებისგან განსხვავებით პირინეიელები შედარებით ნაკლებს კი ითხოვენ, მაგრამ ფედერაცია მათთან მოლაპარაკებაში მაინცდამაინც არ აქტიურობს.

ამასობაში ფეხბურთის ფედერაცია უეფას ახლადარჩეული პრეზიდენტის საქართველოში მოახლოებული ვიზიტის პროგრამის დეტალებზე მუშაობს. უკვე ცნობილია, რომ მიშელ პლატინი თბილისში 7 მარტის დილას ჩამოვა, უკან კი ცხრაში გაემგზავრება, ხოლო დეტალები ამ კვირაში გაირკვევა. უეფას პრეზიდენტი სავარაუდოდ საქართველოს პრეზიდენტსაც შეხვდება და ალბათ გაკოხტავებულ ეროვნულ სტადიონსაც დაათვალიერებს.

**კობა ინასარიძე**




# იენაც კმაყოფილია და მინგეც

## შეგონება აშვეთიას და ლომაიას: ასე გააგრძელეთ!

მეორე ბუნდესლიგის იენის „კარლ ცაისი“ ოთხი ტურის წინ წყალწაღებულ გუნდს ჰგავდა და თავის გადასარჩენად ხავსს ეჭიდებოდა. მეორე წრისთვის კი გუნდში მიხეილ აშვეთია და გიორგი ლომაია მივიდნენ და... „კარლ ცაისმა“ ბოლო სამი თამაში მიჯრით მოიგო და გასავარდნ ზონას დაუსხლტა. პარასკევს იენელებმა მათე ღვინიანიძის „მიუნხენ 1860“-ს შინ 3:1 მოუგეს და აშვეთიამ პირველი გერმანული დუბლი მიითვალა. გუშინ აშვეთიას იენაში შევეხმიანეთ...

— არ გვეგონა, ასე იოლი თამაში თუ იქნებოდა, მაგრამ დასაწყისში გაგვიმართლა. მე-10 წუთზე უკვე 3:0-ს ვიგებდით და მეტოქე ფსიქოლოგიურად გატყდა. ასეთი დასაწყისის შემდეგ გუნდი თავისუფლად ათამაშდა და გამარჯვების მოპოვება აღარ გაგვჭირვებია.

**— როგორი გოლები გაიტანე?**

— ჯერ პირისპირ დავრჩი მეკარესთან და შორეულ კუთხეში დავურტყი, მერე კი უმეთვალყუროდ დამტოვეს და საშუალო დისტანციიდან ბურთის გატანა არ გამჭირვებია.

**— ოთხ მატჩში სამი გოლი — ალბათ გულშემატკივრებში უკვე პოპულარობით სარგებლობ...**

— გერმანიაში ფეხბურთელის დაფასება იციან. თავდამსხმელისთვის აუცილებელ საქმეს ვაკეთებ — გოლები გამაქვს. ეს კი გულშემატკივრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომ მალევე გავხდი პოპულარული.

**— მწვრთნელი და გუნდის ხელმძღვანელობა რას გეუბნება?**

— ცუდი რა უნდა თქვან, გოლები გამაქვს, ზედიზედ სამი მატჩი მოვიგეთ, გასავარდნ ზონას დავშორდით. ძალიან გახარებულები არიან, მთელ გუნდს ემადლიერებიან, თუმც მე და გიორგის განსაკუთრებით თბილად გვექცევიან.

**— ბოლო ორი მატჩია, „კარლ ცაისი“ შავი სამკლავურებით თამაშობს.**

— გუნდის ყოფილი ლეგენდარული ფეხბურთელი ჯორჯ ბეშნერი გარდაიცვალა.

**— ალბათ, „რუბინში“ გატარებული ბოლო სეზონის გახსენებაც აღარ გინდა...**

— მართლაც ცუდი სეზონი იყო, თავიდან ძირითადში კი ვხვდებოდი, მაგრამ ტრავმის გამო რამდენიმე თამაში გამოვტოვე და ფორმაში ვეღარ ჩავდექი. ახლა გაცილებით კარგად ვგრძნობ თავს. თუმც ოპტიმალურ ფორმაში ჯერ არ ვარ, აღსადგენად ცოტა დრო კიდევ მჭირდება.

**— ნაკრების მწვრთნელები ხომ არ გეხმიანებიან?**

— შეხმიანება რად გვინდა, რალფ მინდე „მიუნხენთან“ მატჩს დაესწრო და თამაშის შემდეგ მე და ლომაია მოგვინახულა. ძალიან კმაყოფილი იყო, ასე გააგრძელეთო.

**— საშოტლანდიო თამაშზე არაფერი უთქვამს?**

— თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, შოტლანდიასთან ორივეს გამოგვიძახებენ.

„კარლ ცაისის“ წარმატებაში აშვეთიასთან ერთად ლომაიასაც შეაქვს წვლილი. ჩვენებურმა ოთხ თამაშში მხოლოდ ორი ბურთი გაუშვა და ორივე სტანდარტული სიტუაციიდან — „კიოლნთან“ თერთმეტმეტრიანით, „მიუნხენ 1860“-თან ჯარიმიდან.

— ღმერთის წყალობით, ყველაფერი სასიკეთოდ მიდის. რუსეთში ორივეს სათამაშო პრაქტიკა გვაკლდა და, ცხადია, გერმანიაში უცებ ვერ მოვერგებოდით გუნდს, გაგვიძნელდა, მაგრამ თანდათან შევდივართ ფორმაში და კიდევ მოვუმატებთ. რაც მთავარია, სტაბილურად ვართ, თამაში არ ჩაგვიგდია. ჩვენით ყველა კმაყოფილია — გვითხრა ლომაიამ

**მიხელი ჟორჟოლიანი**




# ექიმებმა ჯაკობიას ბურთის მცირე დოზა გამოუწერეს

დაახლოებით ერთი კვირის წინ კიევის „არსენალის“ ტრავმიანი შემტევი ლაშა ჯაკობია გუნდს თურქულ შეკრებაზე დაშორდა და თბილისში მკურნალ ექიმთან ჩამოვიდა, ჩვენებურს თანაგუნდელი სერგეი ზაკარლუკაც ჩამოჰყვა. თბილისში მკურნალობის შემდეგ კი ჯაკობია „არსენალში“ დაბრუნდა და მას უკვე კიევში დავურეკეთ...



— თურქული შეკრებიდან მალევე წამოვედი და თბილისში საბოლოო გამოკვლევისთვის ჩამოვედი. მკურნალობის პროცესი კარგად მიდის, ექიმების ვარაუდით მალე მწყობრში ვიქნები.

**— თურქულ შეკრებაზე ინდივიდუალურად ვარჯიშობდი?**

— თავიდან ძუნძულით და სატრენაჟორო დარბაზით შემოვიფარგლე, შემდეგ გუნდთან ერთადაც დავიწყე ვარჯიში, მაგრამ ბურთს და საკონტროლო თამაშებს ვერიდებოდი. მუხლის ტრავმა ხომ ძალიან სათუთია.

**— ოპტიმალურ ფორმაში დაახლოებით როდისთვის იქნები?**

— დატვირთვებს კი ვუძლებ, მაგრამ ოპტიმალური ფორმისგან შორს ვარ და ეს გასაკვირიც არ არის — დიდი დრო გამიცდა. თუმც „არსენალს“ კიდევ ერთი შეკრება აქვს გასავლელი და იქ შევეცდები დაკარგულის ანაზღაურებას.

**— ბურთით ვარჯიშის ნება უკვე დაგრთო ექიმმა?**

— ბურთით ვარჯიშს ნელ-ნელა უნდა მივეჩვიო. ყველაფერს ისიც მირთულებს, რომ თურქეთში ვირუსი შემეყარა და თბილისში სიცხემ ამიწია, ახლაც ცოტა სუსტად ვარ.

**— მარტის დასაწყისში უკრაინაში ჩემპიონატი განახლდება — თამაშს შეძლებ?**

— მეგონა, რომ ორი-სამი ტურის გამოტოვება მომიწევდა, ახლა კი შესაძლოა, პირველივე ტურში ვითამაშო.

**— თითქმის ყველა ინტერვიუში „არსენალის“ თავკაცი ალექსანდრ ზავაროვი თავდამსხმელის პრობლემებზე საუბრობს...**

— სატრაბახოდ არ ვამბობ, მაგრამ ზავაროვს ჩემი იმედი რომ არ ჰქონდეს, ტრავმირებული ფეხბურთელს არ აიყვანდა გუნდში. ზავაროვი და მთლიანად „არსენალი“ მორალურად გვერდში მიდგას. ვეცდები, მათი ნდობა გავამართლო. მთავარია, რომ რთული პერიოდი უკან დარჩა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გაიხედეთ გერმანიისკენ

## სადაც ქართველმა ითამაშა, ყველამ მოიგო



იაშვილს გუშინ მაისურაზეც ჩამოეკიდნენ

**გერმანიის** მეორე ბუნდესლიგაში ქართველები ოთხ გუნდში არიან განაწილებულნი და ისე მოხდა, რომ ამ ტურში ორი ქართული დერბი გაიმართა. სასიხარულოა, რომ ორივე ამ მატჩში ჩვენებურებმა გოლი გაიტანეს.

*მიხეილ აშვეთიამ* საწყის 11 წუთში ორჯერ დაამწუხრა *მათე ღვინიანიძის* გარეშე მოთამაშე „მიუნხენ 1860". „კარლ ცაისმა" ანგარიში მე-7 წუთზე გახსნა, მე-11-ზე კი უკვე 3:0-ს იგებდა, საბოლოოდ კი 3:1 იმარჯვა. აშვეთიამ 81 წუთი ითამაშა, *გიორგი ლომაია* კი შეუცვლელად იდგა კარში. მიუნხენელებმა საქართველოს ნაკრების მეკარეს ჯარიმიდან გაუტანეს.

ამასობაში „კარლ ცაისი" გასავარდნ ზონას ერთი საფეხურით და სამი ქულით ასცდა, ღვინიანიძის გუნდი კი ცხრილის შუაშია.

მაგარი ჯახი იყო ფრაიბურგის „დრაიზამშტადიონზე": *ალექსანდრე იაშვილისა* და *ოთარ ხიზანეიშვილის* გუნდმა 5:4 სძლია აუე-ს, სადაც *დავით სირაძეს* ყელის ტკივილის გამო არ უთამაშია. „ფრაი" თავიდან ორჯერ აგებდა, ორჯერვე გაათანაბრა, შემდეგ კი სულ ერთი ბურთით წინ გადიოდა და ერცგებირგელები უთანაბრებდნენ. საბოლოოდ მასპინძლებმა 86-ე წუთზე გაიტანეს გადამწყვეტი გოლი.

ხუთი ბურთიდან ერთი იაშვილისა იყო: 52-ე წუთზე თავისივე გამომუშავებული პენალტი ზუსტად დაარტყა.

*შოთა არველაძემ* 90 წუთი ითამაშა „აიაქსთან" (1:1) საშინაო მატჩში. ამსტერდამელები 10 კაცით უგებდნენ მასპინძლებს (ედგარ დავიდსი გააძევეს), თუმცა შეხვედრის მიწურულს შოთას პასით მარტენსმა გაათანაბრა. „ალკმაარი" ისევ მესამე ადგილზე დარჩა.

ინგლისში კაი ბარაქიანად მოიგო „ბლექბერნმა", რომელმაც სტუმარ „პორტსმუთს" 3:0 სძლია. „ვარდების" მწვრთნელმა მარკ ჰიუზმა *ზურაბ ხიზანიშვილი* შესვენების შემდეგ შეიყვანა თამაშში, როცა ანგარიში უკვე 2:0 იყო.

საბერძნეთში *ლევან მაღრაძის* „ქსანთიმ" შინ 0:0 ითამაშა „ეგალეოსთან", ხოლო *ლევან ცქიტიშვილის* „პანიონიოსმა" 3:1 აჯობა „კერკირას". „ქსანთი" მეათე ადგილზეა, „პანიონიოსი" კი მეცხრეზე — ორივე ქართველმა ძირითადში იბურთავა.

ბუნდესლიგამ კი უქართველოდ ჩაიარა: *ლევან კობიაშვილმა* დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა „ლევერკუზენთან" შეხვედრა, რომელიც „შალკესთვის" საშინელი გამოდგა — „ხუმარებმა" ათამდე საგოლე მომენტი გაანიავეს და 0:1 წააგეს, თუმცა კვლავაც 5-ქულიანი უპირატესობით ყოჩობენ ბუნდესცხრილს და თუ დარჩენილ ტურებში ლევერკუზენურ იალლიშებს არ გაიმეორებენ, სასალათე ხელიდან არ უნდა გაუშვან.



გუშინ იაპ სტამი შოთა არველაძეს პერსონალურად მეურვეობდა

**ილია ნანობაშვილი**

# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | ლევერკუზენი 4:5 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 18 | 3 | 1 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით სირაძე | აუე | ს | ფრაიბურგი 4:5 | 0 | | 19 | 3 | 5 |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენი | ს | კარლ ცაისი 1:3 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 0 | 9 |
| გიორგი ლომაია | კარლ ცაისი | შ | მიუნხენი 3:1 | 90 | | 4 | 0 | 14 |
| მიხეილ აშვეთია | კარლ ცაისი | შ | მიუნხენი 3:1 | 81 | 2 გოლი, შეცვალეს | 4 | 3 | 14 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | აუე 5:4 | 90 | 1 გოლი | 20 | 4 | 6 |
| ოთარ ხი ზანეიშვილი | ფრაიბურგი | შ | აუე 5:4 | 90 | | 9 | 1 | 6 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | შ | პორტსმუთი 3:0 | 45 | შეცვლაზე | 16 | 0 | 10 |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | შ | აიაქსი 1:1 | 90 | | 22 | 11 | 3 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

ვლადიმერ დვალიშვილი ჯერ 20 წლისაა, თუმცა ახალბედა აღარ ეთქმის. ეგ კი არა, უმაღლეს ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია, საგოლე ალღოთიც გამოირჩევა და სიღრმიდან თამაშიც უყვარს. დვალიშვილი ორი წლის წინ გამოჩნდა „დინამოში", იმავე სეზონში საქართველოს ჩემპიონი გახდა, დღეს კი რუსთავის „ოლიმპის" ბომბარდირია 6 გოლით და ახალგაზრდულ ნაკრებშიც თამაშობს.

პარასკევს, მეორე წრის პირველ ტურში „ოლიმპმა" სწორედ ლადოს საპირველტაიმო დუბლით აჯობა „სიონს" და ლიდერობა შეინარჩუნა...

# რატომ არის ოლიმპი ლიდერი?

## ვლადიმერ დვალიშვილი: გუნდში დაჯგუფებები არ არსებობს



ვლადიმერ დვალიშვილთან გამკლავება „სიონის" კაპიტან ლაშა ჭელიძესაც უჭირდა

— მნიშვნელოვანი თამაში მოვიგეთ. „სიონი" შარშანდელს აქეთ გაძლიერდა, მაგრამ ყველაფერი გავაკეთეთ სამი ქულის ასაღებად — გვითხრა დვალიშვილმა.

**— ექვსი გოლი გაქვს გატანილი და ალბათ ბომბარდირობაზეც ფიქრობ...**

— ცხადია, როგორც ყველა თავდამსხმელს, მეც გოლები მახარებს. ბომბარდირობა ძალიან მინდა, თუმცა მთავარია, გუნდმა მოიგოს.

**— ზოგჯერ უკანდახეულ თავდამსხმელად თამაშობ. შენ ცენტრფორვარდობა გირჩევნია?**

— პოზიციას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ინსაიდობა, გინდ მარჯვნიდან, გინდ მარცხნიდან, არ მიჭირს.

**— „ოლიმპის" ლიდერობა ბევრს უკვირს, როგორც უნდა იყოს, მაინც ახლად შექმნილი გუნდია. უმთავრესად, რის ხარჯზე ჯობნით მეტოქეებს?**

— ძალიან შეკრული გუნდი გვყავს. „ოლიმპში" ვერ ნახავთ ფეხბურთელების ჯგუფ-ჯგუფად დაყოფას, ყველა ერთმანეთის მეგობარია. ცხადია, მარტო ამის წყალობით ვერ იქნები ლიდერი, თამაში და თავდადებაა საჭირო, მაგრამ გუნდური ატმოსფერო ბევრს ნიშნავს.

**— როგორ ატყობ, „ოლიმპი" ახლა უფრო ძლიერია, ვიდრე პირველ წრეში?**

— „სიონთან" თამაშიდან გამომდინარე, ალბათ ახლა. მეორე წრისთვის ძლიერი ფეხბურთელები დაგვემატნენ.

**— ჩემპიონობისთვის ბრძოლაში მთავარ კონკურენტად ვის თვლი?**

— შესაძლოა, „ვიტ ჯორჯიაც" ჩაერიოს ბრძოლაში, მაგრამ უფრო „ამერს", „ზესტაფონსა" და „დინამოს" გამოვარჩევ. ვფიქრობ, მათ თანაბარი შანსები აქვთ.

**— საქართველოს ჩემპიონატში თუ ვინმე გამოჩნდება, ყველას უცხოეთისკენ უჭირავს თვალი. შენ არ გქონია რამე შემოთავაზება?**

— იყო რაღაც საუბარი, მაგრამ არ ვიჩქარე. ჯერ აქ უნდა დავამტკიცო შესაძლებლობები, საკმარისად უნდა მოვმაგრდე. უცხოეთში წავიდე და სათადარიგოებში ვიჯდე — ეს ხელს არ მაძლევს. მირჩევნია, აქ ვითამაშო. ასაკოვანი რომ ვიყო, სხვაა, მაგრამ ჩემს ასაკში სკამზე ჯდომა ძალიან ცუდია.

**— ამასობაში ახალგაზრდულ ნაკრებშიც ითამაშე თურქეთთან...**

— ნაკრები ისეთი რამაა, იქ ერთხელ მაინც რომ გათამაშონ, შენი შანსი უნდა გამოიყენო. მწვრთნელმა სულ ხუთი-ათი წუთი შემიშვა მინდორზე. რა გითხრათ, თუ „ოლიმპში" შედეგიან თამაშს გავაგრძელებ, ალბათ, მომავალშიც გამომიძახებენ.

**ილია ნანობაშვილი**

საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა 14 ტური

# სპორტი ფსიქოლოგიაა



ბადრი კოპოლაძის ფოტო

გორში ბელტიც მეკარე იყო — გრიგოლ დოლიძის ეს დარტყმა კარში არ შეუშვა

| |
|---|
| ოლიმპი 3:0 სიონი |
| ვიტ ჯორჯია 0:0 ტორპედო |
| ლოკომოტივი 1:4 ზესტაფონი |
| მერანი 3:1 კახეთი |
| ბათუმი 2:1 დილა |
| ბორჯომი 0:2 დინამო |
| ჩიხურა 0:2 ამერი |

**რუსთავი** ავი ალაგი გამოდგა ჩემპიონისთვის — „ოლიმპმა" იოლად მოუთავა საქმე „სიონს", რომლისგანაც უფრო მეტს ველოდით.

„ოლიმპი" — „სიონი" ტურის ცენტრალური მატჩი უნდა ყოფილიყო, „ფოლადის" სტადიონზე ხუთიათასამდე მაყურებელიც მივიდა და „ოლიმპის" დამაჯერებელი გამარჯვება იხილა, თუმც ხალხი ალბათ კიდევ უფრო მეტს ელოდა — დაძაბულ, ორივე გუნდისგან შეუპოვარ თამაშს.

სპორტი ფსიქოლოგიაცაა და „სიონის" თავკაცმა კახა ცხადაძემ დაიჩივლა, ბიჭები დემორალიზებულნი იყვნენ და საწყისი 15-20 წუთი ძალიან გაუჭირდათო. მაგრამ, რითი იყვნენ დემორალიზებულნი „სიონის" ფეხბურთელები? ერთ-ერთი ვერსიით კლუბის ხელმძღვანელობასა და მწვრთნელს შორის ურთიერთობა დაიძაბა...

როცა კლუბში ერთიანობა არ არის, ეს მართლაც მნიშვნელოვნად მოქმედებს ფეხბურთელებზე. „ოლიმპსა" და „სიონს" შორის ისეთი ბალანსი არ არის, რუსთაველებმა იოლად რომ მოუგონ ბოლნისელებს და ალბათ უნდა დავუჯეროთ ცხადაძეს — შესაძლოა, „სიონმა" ეს თამაში თამაშამდე წააგო.

მოულოდნელი იყო ქუთაისის „ტორპედოს" კარგი თამაში „ვიტ ჯორჯიასთან". ტორპედოელებს მეორე წრეში ახალი მწვრთნელი ჰყავთ — სწორედ გიორგი კიკნაძის თავკაცობით ჩაამთავრა „ოლიმპმა" პირველი წრე პირველი ადგილით, მაგრამ „ოლიმპმა" მასთან თანამშრომლობა აღარ ისურვა და კიკნაძე ახლა ალბათ ორმაგადაა მოტივირებული.

კიკნაძის „ტორპედომ" ვიტელებთან მწყობრად ითამაშა, სასურველ ფრესაც გამორჩა და მეტოქე ბეწვის ხიდზე გაატარა — ტორპედოელმა მანუჩარ წიქარიშვილმა მატჩის ბოლოს ძელს გაარტყა ბურთი.

საგოლე მომენტები „ვიტ ჯორჯიასაც" ჰქონდა, მაგრამ ნესტორ მუმლაძის გუნდი ამით ვერ დაიმშვიდებს თავს — ვიტელები ცხრილში ორი საფეხურით ჩამოქვეითდნენ.

... ცარიელ კარში მიმავალი ბურთი ტალახის ბელტმა შეაჩერა — ამერელ გრიგოლ დოლიძეს ასე გაუცუდდა მომენტი, თუმც გიორგი ჩიხრაძეს გუნდმა მაინც უპრობლემოდ მოიგო „ჩიხურასთან".

მიმდინარე ეროვნულში მსაჯმა პირველი პენალტი დანიშნა „ამერის" სასარგებლოდ და ახლა ჩემპიონატს ორად-ორი გუნდი შემორჩა, 11-მეტრიანი რომ არ დაურტყამს — გორის „დილა" და თელავის „კახეთი".

რაც შეეხება „ჩიხურას", საჩხერელებს ცუდი შთაბეჭდილება ნამდვილად არ დაუტოვებიათ. ხვიჩა ქასრაშვილმა მეორე წრის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე შეაკოწიწა გუნდი და ამის გათვალისწინებით „ჩიხურაზე" ძვირს ვერაფერს ვიტყვით. ზვიად სტურუა, რევაზ ქემოკლიძე, კახა მახარაძე, გიორგი ქუცურუა, გიორგი მიქაძე, ჯაბა დვალი — მათ თბილისის „დინამოს" სკოლა გაიარეს და თუ კარგი მოსამზადებელი პირობები ექნებათ, „ჩიხურა" მოწინავე გუნდებს რიგიანად გაუძალიანდება.

შთამბეჭდავად ითამაშა „ზესტაფონმა", თუმცა „ლოკომოტივი" ის გუნდი არაა, ჩემპიონობისთვის მებრძოლი „ზესტაფონისთვის" ლაკმუსად რომ გამოდგეს.

კარგად წარმოაჩინა თავი ჩერნიგორიელმა ილია სპასოევიჩმა — დინამოური დებიუტი გოლით აღნიშნა. დუშან უჰრინის გუნდმა უდრტვინველად მოუგო „ბორჯომს" და ახლა ყველაზე უფრო ალბათ 6 მარტის თამაშზე ფიქრობს — თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩზე „ამერთან". დინამოელებს ცოტა შეთამაშება აკლიათ, თორემ გაცილებით უფრო სოლიდურად გამოიყურებიან, ვიდრე პირველ წრეში.

თვალისმომჭრელი სამწუთიანი ამბავი დატრიალდა ბათუმში — გუნდებმა სამ წუთში სამი გოლი გაიტანეს, მდევრის როლში აღმოჩენილმა „ბათუმმა" სულაც ორმოც წუთში შეაგდო ორი გოლი.

ერთი სიტყვით, მეორე წრის პირველი ტური ნაცრისფერი ნამდვილად არ გამოდგა, ზლაზვნა არც ერთ თამაშში არ ყოფილა და ლიდერთა ხუთეულის გარდა საინტერესო პერიპეტიებს სხვა გუნდებისგანაც უნდა ველოდოთ.

**დავით თამართქილაძე**



„ოლიმპი" — „სიონი". ბოლნისელთა კართან ხიფათი ხშირი იყო




**მეთხუთმეტე ტური**

2 მარტი, პარასკევი
ამერი – ბათუმი
სიონი – ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი – ბორჯომი
ზესტაფონი – მერანი
კახეთი – ოლიმპი
ტორპედო – ჩიხურა
დილა – დინამო

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 8-გელაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| 7-ტატანაშვილი | ამერი |
| დოლიძე | ამერი |
| გ. დათუნაიშვილი | ვიტ ჯორჯია |
| ფიფია | ზესტაფონი |
| 6-იაშვილი | დინამო |
| იონანიძე | ზესტაფონი |
| დვალიშვილი | ოლიმპი |
| 5-ალავიძე | სიონი |
| ჩასევი | სიონი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 14 | 11 | 2 | 1 | 35:5 | 35 |
| ამერი | 14 | 10 | 3 | 1 | 30:8 | 33 |
| ზესტაფონი | 14 | 10 | 3 | 1 | 26:4 | 33 |
| ვიტ ჯორჯია | 14 | 9 | 4 | 1 | 30:16 | 31 |
| დინამო | 14 | 10 | 0 | 4 | 26:11 | 30 |
| ტორპედო | 14 | 7 | 4 | 3 | 16:8 | 25 |
| სიონი | 14 | 7 | 2 | 5 | 19:13 | 23 |
| ლოკომოტივი | 14 | 4 | 2 | 8 | 11:21 | 14 |
| მერანი | 14 | 4 | 2 | 8 | 12:27 | 14 |
| ბორჯომი | 14 | 3 | 3 | 8 | 15:27 | 12 |
| ბათუმი | 14 | 3 | 3 | 8 | 12:15 | 12 |
| ჩიხურა | 14 | 2 | 4 | 8 | 10:24 | 10 |
| დილა | 14 | 0 | 3 | 11 | 7:40 | 3 |
| კახეთი | 14 | 0 | 1 | 13 | 10:40 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბადრი კოპოლაძის ფოტო

# ვიეირას პირველი

**„ზესტაფონის"** ბრაზილიელმა შუახაზელმა ვიეირამ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში პირველი გოლი გაიტანა — მან მე-14 ტურში თბილისის „ლოკომოტივთან" გამოიჩინა თავი, თუმც ეს არ იყო მისი პირველი გოლი საქართველოში — დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშებაში ვიეირამ სამი ბურთი შეაგდო.

ჟილვან გომეშ ვიეირა „ზესტაფონში" ხუთი თვის წინ მივიდა და ახლა თემურ მახარაძის გუნდის ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელია. ვიეირამ მანამდე თბილისის „დინამოში" სცადა მოწყობა, მაგრამ აქედან არაფერი გამოუვიდა. ვიეირა ამბობს, რომ უბრალოდ ვერ შეეწყო „დინამოს", ხოლო „ზესტაფონზე" იმას დასძენს, ჩვენი გუნდი პირველ რიგში კომბინაციური თამაშით გამოირჩევა და ასეთი სტილი ჩემთვის ზედგამოჭრილიაო.

„მადლობა ბიჭებს, რომ არა ჩემი თანაგუნდელები, „ზესტაფონში" ფეხის მოკიდება გამიჭირდებოდა და გოლებსაც ვერ გავიტანდი" — გვითხრა ვიეირამ, ვინც მანამდე ბრაზილიურ „ატლეტიკო მინიეროში" თამაშობდა.

ვიეირა 22 წლისაა და „ზესტაფონთან" ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. მის გარდა გუნდში კიდევ ეთრი ბრაზილიელია — სანტოსი, ხოლო კიდევ ორი, ჟონატასი და ლეანდრო რიგში დგანან — მათი გაზესტაფონელება ფორმალობის მოგვარებისთანავე გადაწყდება.

ვიეირა ირწმუნება, „ზესტაფონი" ისეთ ჯანზეა, თასისთვისაც გავიქაჩებით და ჩემპიონობისთვისაცო.

სანამ „ზესტაფონი" ტიტულებისთვის იბრძვის, ვიეირა ნელ-ნელა ქართულსაც სწავლობს. საღამო მშვიდობისა, დილა მშვიდობისა — ბრაზილიელის პირველი ქართული ფრაზები ასეთი იყო.

ვიეირამ ისიც გვითხრა, ქართული სტუმართმოყვარეობით და კერძებით მოხიბლული ვარ, მაგრამ იმერელი გოგონები დიდად არ მალელვებენო...

ხანდახან ისეც ხდება, რომ გემოვნებაზე სწორედაც რომ დავობენ.

**სალომე ხარატიშვილი**

## მსოფლიოს სუპერთასი
### ჰამბურგი. გერმანია. 24-25 მარტი



# მძიმე ბრინჯაო
## გერმანული მედალი მარტო ლაშა გუჯეჯიანმა დაძრა

**ამ** უქმეებზე საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა მორიგი საერთაშორისო ტურნირი, ჰამბურგის სუპერთასიც მოილია და ევროპის ჩემპიონატამდე ერთი უცხოური გასვლაღა რჩება. მომავალ შაბათ-კვირას შოთა ხაბარელი ვარშავის მსოფლიოს თასზე საევროპო ნაკრების ორ-ორ უმთავრეს კანდიდატს იაზლებს. გერმანულ სუპერთასს სწორედ საპოლონეთო შემადგენლობა უნდა გამოეკვეთა.

ჰამბურგში ხაბარელმა ათეული გამოსცადა და მათგან კვარცხლბეკს მხოლოდ ერთმა — ლაშა გუჯეჯიანმა უწია. მძიმეწონოსანმა მსოფლიოს პრიზიორმა ტურნირი ჩერნიგორიელი მარკო რადულოვიჩის დაიპონებით დაიწყო. მერე ზედ გერმანელი მატიას შმუნკი და სლოვენიელი მატიას სერაჟიც მიაყოლა. ფინალამდე ერთი მოგებაღა რჩებოდა, მაგრამ უხერხულ მეტოქეს, რუს ტამერლან ტმენოვს, ვერც ამჯერად დააკლო რამე და რეპეშაჟის ფინალში გადაერთო.

81 კილოგრამში თავის გამოჩენის შანსი გრიგოლ შინჯიკაშვილს და საბა გავაშელიშვილს ჰქონდათ. წინასწარვე იყო ცნობილი, რომ ამ ორიდან უკეთესი შედეგის მიმღწევი საევროპო ნაკრების შემადგენლობას ერთი ნაბიჯით მიუახლოვდებოდა. ბოლო სიტყვა მაინც მწვრთნელზეა, მაგრამ სავარაუდოდ ხაბარელი სავარშავო განაცხადში გავაშელიშვილს შეიყვანს. ეს უკანასკნელი ჰამბურგულ ტატამზე ხუთჯერ გავიდა და სამჯერ იმარჯვა. საბას ძირითად ბადეში მესამე წრეში დაუცდა ფეხი, ხოლო რეპეშაჟში ერთი მეტოქის ჩამოცილება შეძლო.

შინჯიკაშვილს პირველსავე წრეში მოეცარა ხელი და ამის ერთ-ერთი მიზეზი უიღბლო კენჭისყრა იყო. გრიგოლი ტაკაში ონომ შეაჩერა. მერე კი ეს იაპონელიც დამარცხდა.

წილისყრამ არც ნოდარ მეტრეველს (100კგ) გაუმართლა. ახალგაზრდებს შორის შარშანდელი ევროპის ჩემპიონი თავიდანვე მრისხანე კუბელს, ორეიდას დესპაინს დაეჭიდა და ვერაფერს გახდა. დესპაინი ნახევარფინალამდე ვერავინ შეაჩერა და ჩვენებურს ბრინჯაოს გზა გაეხსნა, მაგრამ იქ მხოლოდ ერთი გამარჯვება მოიპოვა.

გიორგი ფერსაშვილმა, სერგო ცხელაშვილმა (ორივე 66 კგ) და ლევან წიკლაურმა (90 კგ) პირველ წრეში დაისვენეს, თუმცა მეორეს ერთიც ვერ გასცდა. ფერსაშვილი რეპეშაჟშიც გადაერთო, მაგრამ იქ რევაზ ზიდირიდისმა შეაჩერა.

ამირან პაპინაშვილმა (60 კგ) და დავით ლორიაშვილმა (90 კგ) თითო მოწინააღმდეგე ჩამოიცილეს. დავით კუპრაშვილს (73 კგ) კი მესამე წრეში მოეცარა ხელი.

სუპერთასი მარტო კაცებში როდი გათამაშდა. ჰამბურგულ ტატამზე ქალებიც გავიდნენ. მათ შორის საქართველოს ნაკრებიც. გოდერძი ველიჯანაშვილის გუნდი, როგორც მოსალოდნელი იყო უტიტულოდ დარჩა. ქართული ექვსეულიდან თუნდაც ერთი მეტოქის ძლევაც კი ვერავინ, მოახერხა. დუსკა ქერიმოვამ (57 კგ), ანა ძაძამიამ (63 კგ), ლია გვიანიძემ (78 კგ) და მარიამ ჩადუნელმა (+78კგ) თითოჯერ იჭიდავეს. ელენე სოლოღაშვილი (70 კგ) და ირინა ლეონიძე (+78 კგ) კი რეპეშაჟშიც გადაერთნენ. საინტერესოა, რომ ლეონიძეს პირველი მარცხი რუსეთის სახელით მოჭიდავე მომავალმა ჩემპიონმა თეა დონღუზაშვილმა აგემა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**60 კგ**

1 ჰოვანეს დავთიანი (სომხეთი)
2 იასმანი პიკერი (კუბა)
3 ტადაჰირო ნომურა (იაპონია)
3 ჰაჯი ახონზადე (ირანი)

**66 კგ**

1 ბენჟამენ დარბალე (საფრანგეთი)
2 იორდანის არენსიბია (კუბა)
3 ცაგაანბაატარ ხასაანბაატარი (მონღოლეთი)
3 ჟოაო დერლი (ბრაზილია)

**73 კგ**

1 რინატ იბრაგიმოვი (ყაზახეთი)
2 ჰენრი შოემანი (ჰოლანდია)
3 კიოში უემაცუ (ესპანეთი)
3 მარიო შენდელი (გერმანია)

**81 კგ**

1 იუნ-ვო კვონი (ს. კორეა)
2 დამდინსურენ ნიამშუ (მონღოლეთი)
3 ოლე ბიშოფი (გერმანია)
3 ფლავიო კანტო (ბრაზილია)

**90 კგ**

1 ილიას ილიადისი (საბერძნეთი)
2 დავიდ ალარზა (ესპანეთი)
3 ნიკოლას ბრისონი (კუბა)
3 ივან პერშინ. (რუსეთი)

**100 კგ**

1 არიელ ზეევი (ისრაელი)
2 რუსლან გასიმოვი (რუსეთი)
3 კეიჯი სუძუკი (იაპონია)
3 ნაიდან ტუვშინ ბაიარი (მონღოლეთი)

**+100 კგ**

1 ტამერლან ტმენოვი (რუსეთი)
2 პაოლო ბიანჩესი (იტალია)
3 ლაშა გუჯეჯიანი (საქართველო)
3 ტედი რინერი (საფრანგეთი)



## საქართველოს ჩემპიონატი

# ავიამშენმა აზოტს გადაუფრინა
## 52: შერმადინის რეკორდი

= 24 თებერვალი. ვერის ბაღი =

**ავიამშენი 91:79 აზოტი**

*17:20 27:18 15:15 32:26*

ავიამშენი: დ. ბერიშვილი (15), ხოშტარია (28), კეიდია (5), ბაბიაშვილი (20), სუხიშვილი (3); ნიკოლაძე (13), როდუმეა (5), ი. ბერიშვილი (2)
აზოტი: გამყრელიძე (10), ტულუში (15), მარკოიშვილი (9), ტუჯანი (5), უგრეხელიძე (18); ბოისა (10), გოგობერიშვილი (3), ბერძენიშვილი (5), ბეჟანიშვილი (4), ცეკვავა
*მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, დავით არეშიძე*
*კომისარი: ჟენგიზ ქიქოძე*

**დინამო 83:77 სტუ**

*36:13 18:23 14:21 15:20*

დინამო: ნ. ნოზაძე (8), გულისაბედაშვილი (14), კუშელავა (31), ტაბატაძე, კოლუაშვილი (11); ბადრიძე (9), სიგუა (3), მურჯიკნელი (6), ფაიქრიძე (2), გაბაშვილი
სტუ: კოხრეიძე (11), ძიძიგური (6), ბარბაქაძე (10), მაისურაძე (11), ახალკაცი (18); დევიძე (21), სებისკვერაძე
*მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ხათუნა გაბედავა*
*კომისარი: როლანდ გელოვანი*

**თსუ 111:97 მაკაბი**

*30:18 27:33 31:19 23:27*

თსუ: ვეფხვაძე (4), ლეჟავა (27), ხეცურიანი (12), შანიძე (9), მათიაშვილი (12); ბ. ბერიშვილი (33), მ. ბერიშვილი (8), იმნაძე (2), ტყეშელაშვილი, ფანჩულიძე (4), არწივიძე
მაკაბი: დოლიძე (8), კორკოტაძე (10), ჯგერენაია (5), ს. შერმადინი (12), გ. შერმადინი (52); პირველაშვილი (7), კორძაძე, ბარსეგიანი, ენუქიძე (3)
*მსაჯები: დავით არეშიძე, მალხაზ ანდღულაძე*
*კომისარი: როლანდ ხომერიკი*



ირაკლი ხოშტარიამ (№7) „აზოტის“ დაცვა დააწიოკა

ზურაბ ქურციკიძის ფოტო

**შაბათს** ვერის ბაღში რევოლუციის სუნი დატრიალდა. სუპერლიგაში აქამდე დაუმარცხებელმა და მრავალთაგან აქედანვე მომავალ ჩემპიონად მონათლულმა რუსთავის „აზოტმა“ იმ „ავიამშენთან“ წააგო, რომელთანაც ცოტა ხნის წინ თასი დათმო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რეგულარულ ჩემპიონატს ინტრიგა დაუბრუნდა და მისი მომგები ბოლო, მეოთხე წრეში გამოვლინდება.

არადა, წაუგებელ „აზოტს“ რომ ემარჯვა, თითქმის ინაღდებდა პირველ ადგილს და შესაბამისად საპლეიოფო მატჩებში ნებისმიერ მეტოქესთან მოედნის უპირატესობას, მაგრამ განახევრებულმა „ავიამშენმა“ ერთი შეხედვით საათივით აწყობილი მეტოქე მოხდენილად დაამარცხა და ყველას დაუმტკიცა, რომ ტიტულს იოლად არავის დაუთმობს.

განახევრებულიო, ვთქვით: „ავიატორებს“ რეალურად 2 მოთამაშე აკლდათ, თუმც ერთი ამდენი ტრავმიანი გავიდა მოედანზე. დავით ბარბაქაძის აზერბაიჯანში წასვლამ, რა თქმა უნდა, შესამჩნევად დაასუსტა ლევან მოსეშვილის გუნდი და ამას ტრავმირებული თორნიკე ნინიაშვილის არყოფნაც ემატებოდა, მაგრამ „ავიამშენმა“ მოედანზე მთელი ჯიგარი დადო, ბოლომდე შეუპოვრად ებრძოლა ძლიერ მეტოქეს და სატურნირო მნიშვნელობას რომ თავი დავანებოთ, მეტად საამაყო გამარჯვება მოიპოვა.

ამ მატჩის და შესაბამისად ტურის საუკეთესო მოთამაშედ ირაკლი ხოშტარია დასახელდა, რომელმაც მატჩამდელ პრესკონფერენციაზე თქვა, ფეხი ძალიან მტკივა, მაგრამ სკამზე დარჩენის უფლება არ მაქვს, მოედანზე მაინც გავალ და გამარჯვებისთვის არაფერს დავზოგავო. სხვათა შორის, ხოშტარიას თასის ფინალში ამაზე მეტად აწუხებდა ტრავმა, თამაშსაც არ აპირებდა, მაგრამ მოედანზე მაინც გავიდა და მაშინაც საუკეთესო იყო.

შაბათსაც მოვლენების ეპიცენტრში სწორედ ხოშტარია გახლდათ. ის კარაქივით ჭრიდა „აზოტის“ ნაქებ, თუმცა ამ მატჩში გვარიანად მოფამფალებულ დაცვას. რუსთაველები ხომ ვერ იცავდნენ თავს და შეტევაშიც არაფერი გამოსდიოდათ — 31 ცდიდან მხოლოდ 6 სამქულიანი ჩააგდეს, როცა ავიატორებმა 18-დან 10 შორი სროლა მიზანში გაარტყეს.

რუსთაველები მხოლოდ პირველ ტაიმში გაუძალიანდნენ თბილისელებს, როცა ლაშა გამყრელიძის სწრაფი გარღვევებითა და ანატოლი ბოისას ჩაუქრობით მცირე ხნით ლიდერობა მოიპოვეს — 20:17. „ავიატორებს“ მარქაფში 2 საღი მოთამაშე ჰყავდათ, თუმც ფეხმტკივანი ირაკლი ბერიშვილი მაინც გავიდა მოედანზე და შეხვედრას თავისი ხელი დაატყო.

მეორე მეოთხედში „ავიამშენის“ უპირატესობა აშკარა გახდა. დავით ბერიშვილის და ხოშტარიას დიდოსტატური თამაშის წყალობით თბილისელებმა ათქულიანი უპირატესობა მოიპოვეს და რუსთაველთა ყოფა ვერც დავით უსტიაშვილის შეცვლებმა გამოასწორა.

ასე მივიდნენ გუნდები ბოლო მეოთხედამდე, სადაც კვლავ გაიბრწყინა ირაკლი ხოშტარიამ, ვისაც გვერდში მედგრად ედგა გიორგი ნიკოლაძე და საფინალო წუთებმა ისე მოატანა, „აზოტს“ თამაშის ხსნის შანსი არც მისცემია.

ტურის სხვა მატჩებში გამოსარჩევი ბრძოლა არ ყოფილა, თუმც თსუ-სა და „მაკაბის“ დაპირისპირებაში მიმდინარე სეზონის რეკორდი გამოცხვა. მაკაბელმა გიორგი შერმადინმა 52 ქულა მიითვალა და 7-ით გააუმჯობესა აზოტელი კოტე ტულუშის მიერ დამყარებული წლევანდელი ჩემპიონატის რეკორდი, რომელიც, სხვათა შორის, კოტემ წინა ტურში სწორედ „მაკაბის“ წინააღმდეგ თამაშში დაამყარა.

რეკორდი იყო მთავარი, თორემ „მაკაბიმ“ რომ წააგო, ამას გუნდის თავკაცი ჯამლეტ ხუხაშვილი დიდად არ დაუდარდიანებია. ამ თამაშის შედეგი ისედაც წინასწარ იყო თსუ-ს სასარგებლოდ გადაწყვეტილი და სენსაცია არც მომხდარა.

მესამე მატჩში კი „დინამომ“ ულიდერო სტუ იოლად დაამარცხა. ნოდარ ბერაია ტექნიკოსთა სული და გულია და მისი არყოფნა ისედაც გაჭირვებული გუნდისთვის წაგების ტოლფასია.

**ირაკლი პერტაია**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 14 | 13 | 1 | +312 | 27 |
| ავიამშენი | 14 | 12 | 2 | +213 | 26 |
| თსუ | 14 | 10 | 4 | +193 | 22 |
| დინამო | 14 | 4 | 10 | -188 | 18 |
| სტუ | 14 | 3 | 11 | -236 | 17 |
| მაკაბი | 14 | 3 | 11 | -328 | 17 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ატლანტამ ჰიუსტონს რაკეტა მიუბრუნა

23 თებერვალი

**ატლანტა 105:99 ჰიუსტონი**
ატლანტა: აივი (2), ჯონსონი (31), მ. უილიამსი (20), სმიტი (20 ქულა, 10 მოხსნა), რაიტი; ფაჩულია (31 წუთი, 12 ქულა, 7 მოხსნა, 1 დაფარება), ჩილდრესი (11), კლაქსტონი (5), შ. უილიამსი (4)
ჰიუსტონი: ალსტონი (23), მაკგრეიდი (37), ბეტიე (3), ჰოვარდი (19), მუტომბო (9 ქულა, 12 მოხსნა); ჰეიესი (4), ველსი (4), ჰედი, ლუკასი

**ნიუ ჯერსი 109:96 საკრამენტო**
ნიუ ჯერსი: კარტერი (26 ქულა, 11 მოხსნა), კიდი (22 ქულა, 12 მოხსნა, 10 პასი), უილიამსი (19)
საკრამენტო: არტესტი (33), სალმონსი (16), პრაისი (15)

**ორლანდო 89:94 დეტროიტი**
ორლანდო: ჰოვარდი (20 ქულა, 13 მოხსნა), თურქოღლუ (20), ჰილი (15)
დეტროიტი: ბილაფსი (28), ჰამილტონი (22), ვოლესი (14 ქულა, 10 მოხსნა)

**ნიუ ორლეანი 98:97 სიეტლი**
ნიუ ორლეანი: ვესტი (23 ქულა, 11 მოხსნა), ჯეკსონი (17), ჩანდლერი (15 ქულა, 19 მოხსნა), პოლი (13)
სიეტლი: ალენი (32), ლუისი (18 ქულა, 12 მოხსნა), უოტსონი (18)

**ჩიკაგო 105:90 ვაშინგტონი**
ჩიკაგო: დენგი (32 ქულა, 11 მოხსნა), ჰაინრიხი (20 ქულა, 12 პასი, 8 მოხსნა), გორდონი (18), ვოლესი (8 ქულა, 12 მოხსნა, 5 დაფარება)
ვაშინგტონი: არენასი (36), ბატლერი (14)

**ტორონტო 110:88 ინდიანა**
ტორონტო: ბოში (23 ქულა, 12 მოხსნა), გარბახოსა (16)
ინდიანა: ტინსლი (19), ონილი (17)

**ნიუ იორკი 95:93 მილუოკი**
ნიუ იორკი: კროუფორდი (22), მარბერი (22)
მილუოკი: უილიამსი (28 ქულა, 10 მოხსნა), ბოგუტი (19)

**მინესოტა 104:116 ფინიქსი**
მინესოტა: გარნეტი (28 ქულა, 19 მოხსნა), ფოი (14)
ფინიქსი: მერიონი (27 ქულა, 14 მოხსნა), ბარბოსა (24), სტუდემაიერი (23 ქულა, 11 მოხსნა), ნეში (9 ქულა, 15 პასი)

**პორტლენდი 102:103 მემფისი**
პორტლენდი: რენდოლფი (25), როი (19), ჯეკი (18), მაგლორი (14 ქულა, 10 მოხსნა)
მემფისი: გასოლი (23), უორიკი (20), მილერი (19)

**ლეიკერსი 122:96 ბოსტონი**
ლეიკერსი: ბრაიანტი (38 ქულა, 9 პასი, 5 ჩაჭრა), ბინამი (16)
ბოსტონი: გრინი (21), ჯეფერსონი (18), პირსი (16)

**დენვერი 104:114 იუტა**
დენვერი: ენტონი (36), აივერსონი (33)
იუტა: უილიამსი (26 ქულა, 14 პასი), ჰარპრინგი (22), მილსაპი (14 ქულა, 10 მოხსნა)

**შარლოტი 102:87 ფილადელფია**
შარლოტი: მორისონი (19), ვოლესი (19), ოკაფორი (16 ქულა, 16 მოხსნა)
ფილადელფია: კორვერი (21), მილერი (15)

24 თებერვალი

**სან ანტონიო 102:71 სიეტლი**
სან ანტონიო: პარკერი (21), ჰორი (17)
სიეტლი: ალენი (12)

**დალასი 115:95 დენვერი**
დალასი: ნოვიცკი (31 ქულა, 11 მოხსნა, 8 პასი), ჰოვარდი (27), სტეკჰაუსი (16)
დენვერი: ენტონი (34), აივერსონი (26), კემბი (10 ქულა, 17 მოხსნა, 7 პასი)

**კლიპერსი 103:90 გოლდენ სტეიტი**
კლიპერსი: ბრენდი (31 ქულა, 12 მოხსნა, 8 პასი), მაგეტი (18), ტომასი (17)
გოლდენ სტეიტი: ჰარინგტონი (24), რიჩარდსონი (18), ელისი (17 ქულა, 13 პასი)

**მილუოკი: 109:90 ფილადელფია**
მილუოკი: რედი (26), უილიამსი (26)
ფილადელფია: იგუდალა (22), დალემბერტი (15)

**შარლოტი 76:93 ტორონტო**
შარლოტი: მორისონი (13), კეროლი (13)
ტორონტო: ბოში (24 ქულა, 11 მოხსნა), კალდერონი (16)

**იუტა 105:87 ბოსტონი**
იუტა: ფიშერი (21), ბუზერი (16 ქულა, 10 მოხსნა), გირიჩეკი (16)
ბოსტონი: პირსი (19), ვესტი (16), ჯეფერსონი (12 ქულა, 13 მოხსნა, 5 დაფარება)

**შარშანდელიც** კი გვახსოვს თქვენგან წყენაო, ატლანტელებს ჰიუსტონელებისთვის უნდა ეთქვათ. ამ სეზონში 2006 წლის უკანასკნელ მატჩში 29 დეკემბერს ზაზა ფაჩულიას გუნდმა ნასა-ს ცენტრით და კოსმოდრომებით განთქმულ ქალაქში დიდი სირცხვილი ჭამა — 68:94 წააგო. ეს 68 ქულა „ქორებისთვის" სეზონის ანტირეკორდი გახლავთ.

ახლა კი „ატლანტა" საპასუხო მატჩში ყოჩაღად დაუხვდა დასვლელ მეტოქეს, რომელსაც თუმცაღა 226-სანტიმეტრიანი იაო მინი აკლია, მაგრამ მაინც არ უჭირს და დასავლეთში მორჭმით ზის საპატიო მეხუთე ადგილზე. მინის ადგილი ძირითად ხუთეულში კვლავ 40 წლის დიკემბე მუტომბოს უკავია. ამ შეხვედრაშიც ახმახი აფრიკელი ამაგრებდა „ჰიუსტონის" სამწამიან ზონას და ზაზა ფაჩულიასაც ამ ბებერ ცენტრთან მოუხდა ჭიდილი.

მაგრამ მასპინძლებისთვის მთავარი საფრთხე სამწამიანიდან კი არა, პერიმეტრიდან მოდიოდა, სადაც „ჰიუსტონის" ლიდერი ტრეისი მაკგრეიდი ბობოქრობდა. „თითქმს" ატლანტელებს 37 ქულა აძგერა, მაგრამ ამათ სასახელოდ აუცილებლად სათქმელია, რომ მასპინძლებმა გაუძლეს 7-გზის ოლსტარელის მოძალებას და რევანშის აღებაც მოახერხეს.

თამაში თანაბარი და დაძაბული გამოვიდა, განსაკუთრებით დასკვნით მეოთხედში. ჰიუსტონელებმა რაფერ ალსტონის სამქულიანით 86:86 გაათანაბრეს და მატჩის დამთავრებამდე დაახლოებით 6 წუთით ადრე მაკგრეიდის საჯარიმოთი წინაც გავიდნენ, მაგრამ მერე უკვე მასპინძლებმა იძალეს — ჯერ 94:88 გაღიდერდნენ, ზაზა ფაჩულიას ორი საჯარიმოს შემდეგ კი 98:91 დაწინაურდნენ. დროის ამოწურვამდე წუთითა და 7 წამით ადრე 7-ქულიანი უპირატესობა გადამწყვეტადაც ჩაითვლება, მაგრამ ძლიერმა სტუმრებმა საზოგადოდ სუსტ მეტოქესთან ასე დანებება არ ისურვეს, მაკრეიდიმ ზედიზედ სამი საჯარიმო ჩააგდო და 20 წამით ადრე სხვაობა 2 ქულამდე შეამცირა — 101:99, თუმც იმ დარჩენილ 20 წამში ქულები მხოლოდ მასპინძლებმა აკეთეს და მეტოქე შინ ნაწყენი გაისტუმრეს.

**კოტე ყორშია**


ზაზა ფაჩულია „ჰიუსტონის" ფარქვეშეთში დატრიალდა

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკი** | | | |
| ტორონტო | 31 | 25 | 55,4 |
| ნიუ ჯერსი | 26 | 30 | 46,4 |
| ნიუ იორკი | 25 | 31 | 44,6 |
| ფილადელფია | 18 | 38 | 32,1 |
| ბოსტონი | 13 | 42 | 23,6 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 35 | 19 | 64,8 |
| კლივლენდი | 32 | 23 | 58,2 |
| ჩიკაგო | 32 | 25 | 56,1 |
| ინდიანა | 29 | 25 | 53,7 |
| მილუოკი | 20 | 37 | 35,1 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ვაშინგტონი | 31 | 22 | 58,5 |
| ორლანდო | 27 | 29 | 48,2 |
| მაიამი | 26 | 28 | 48,1 |
| ატლანტა | 22 | 33 | 40,0 |
| შარლოტი | 22 | 34 | 39,3 |

NBA NBA NBA NBA NBA NBA NBA NBA NBA NBA

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| დალასი | 46 | 9 | 83,6 |
| სან ანტონიო | 38 | 18 | 67,9 |
| ჰიუსტონი | 34 | 20 | 63,0 |
| ნიუ ორლეანი | 27 | 29 | 48,2 |
| მემფისი | 15 | 42 | 26,3 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| იუტა | 27 | 18 | 67,3 |
| დენვერი | 26 | 28 | 48,1 |
| მინესოტა | 25 | 30 | 45,5 |
| პორტლენდი | 24 | 33 | 42,1 |
| სიეტლი | 21 | 34 | 38,2 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 42 | 13 | 76,4 |
| ლეიკერსი | 31 | 25 | 55,4 |
| კლიპერსი | 26 | 29 | 47,3 |
| გოლდენ სტეიტი | 26 | 30 | 46,4 |
| საკრამენტო | 23 | 31 | 42,6 |

## ხელბურთი

**ჩემპიონთა ლიგა. ვაჟები**
**მეოთხედფინალი. პირველი მატჩები**

**ვალიადოლიდი** (ესპანეთი) **36:36 გუმერსბახი** (გერმანია)
**ვესპრემი** (უნგრეთი) **39:36 კილი** (გერმანია)
**სიუდად რეალი** (ესპანეთი) **26:21 სან ანტონიო** (ესპანეთი)
**ფლენსბურგი** (გერმანია) **31:21 ბარსელონა** (ესპანეთი)

*საპასუხო მატჩები 3-4 მარტს გაიმართება*

# კატალონია ყველგან ნულია

**ბარსელონაში** დიდი შავი ღამე ჩამოწვა. ყოველ შემთხვევაში, სპორტული თვალსაზრისით ნამდვილად ასეა — კატალონიელთა სიამაყე „ბარსელონა" ზედიზედ შერცხვა სპორტის სამ სახეობაში, თანაც უმაღლეს, ევროპულ დონეზე.

ჯერ იყო და საფეხბურთო ჩემპიონთა ლიგაში თასის მოქმედმა მფლობელმა „ბარსამ" მშობლიურ „კამპ ნოუზე" 1:2 წააგო ინგლისურ „ლივერპულთან" და განმეორებითი მატჩის წინ თავისი შანსები, ზედიზედ მეორედ მოიგოს უმთავრესი საკლუბო ტურნირი, მკვეთრად შეამცირა.

მერე საკალათბურთო „ბარსა" შერცხვა და ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის მორიგ მატჩში ათენში, იქაური „პანათანაიკოსისგან" 102:82 განადგურდა.

კატალონიელთა უიღბლო კვირა ხელბურთელებმა გააგრძელეს. ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის პირველ მატჩში სახელბურთო „ბარსამ" გერმანულ „ფლენსბურგთან" ათი ბურთის სხვაობით — 21:31 წააგო და საეჭვოა, საპასუხო შეხვედრაში ამხელა ჩამორჩენა გააბათილოს.

მეოთხედფინალის მეორე ესპანურ-გერმანულ დაპირისპირებაშიც სასწორის პინა გერმანელებისკენ იხრება — „გუმერსბახმა" „ვალიადოლიდთან" სტუმრად ფრედ ითამაშა და ახლა გერმანელებს მეორე თამაშის წინ მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვთ.

მესამე გერმანულმა გუნდმა „კილმა" სამი ბურთი წააგო სტუმრად უნგრულ „ვესპრემთან", ხოლო შიდაესპანურ დაპირისპირებაში „სიუდად რეალმა" 26:21 დაჯაბნა „პორტლენდ სან ანტონიო".




სპორტის ენციკლოპედია

მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი.
სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური,
ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები.
ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა.
1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე.
სპორტულ ტერმინთა განმარტებები.
ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე,
სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე.
უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა.
რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი,
704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: "წიგნის სახლი" (გამსახურდიას 31);"სამშობლო" (ყაზბეგის 4); "ლიბრა" (კერესელიძის 12, "მეგალაინი"); "სანტა ესპერანსა" (სანქტ-პეტერბურგის 12); "მერანი" (რუსთაველის 42); "აისი" (ალმაშენებლის 89); "საუნჯე" (რუსთაველის 28).

უნაღდო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09; 877 488844

## ექვსი ერი 2007

# ვარსკვლავჩამქრალნი

## ირლანდიამ ინგლისისგან არაფერი დატოვა

*ამ უქმეებზე სამ სარბიელზე ევროპის რჩეულმა ნაკრებებმა „ექვსი ერის“ მესამე ტური მოირაგბეს. ინტერესი არც ერთ თამაშს არ მოჰკლებია, პირიქით, საინტერესო იმდენი მოხდა, მთელ ტურნირს რომ ეყოფა*



ბრაიან ოდრისკოლის ირლანდიამ ჯონი უილკინსონის ინგლისი შეარცხვინა

24 თებერვალი. დუბლინი

**ირლანდია 43:13 ინგლისი**

**ირლანდია:** დემფსი, ჰორგანი, ბ. ოდრისკოლი (კაპ), დარსი, ჰიკი; ოგარა, სტრინგერი; ლამი, დ. ვოლესი, ისტერბი, ოკონელი, ოკლაჰანი, ჰეიესი, რ. ბესტი, ჰორანი

სათადარიგოები: ფლანელი, ს. ბესტი, ნ. ბესტი, მ. ოდრისკოლი, ბოსი, ა. ვოლესი, ტრიმბლი

*4ლ: დემფსი, დ. ვოლესი, ჰორგანი, ბოსი; 4გ: ოგარა; 5ს: ოგარა*

**ინგლისი:** მორგანი, ლუსი, ტინდალი, ფარელი, სტრიტლი; უილკინსონი, ელისი; კორი, ლუნდი, უორსლი, გრივკოკი, დიკონი, ვიკერი (კაპ), ჩუთერი, ფრეშუოტერი

სათადარიგოები: მარსი, ვაიტი, პალმერი, რიისი, პერი, ფლუდი, ტაიტი

*1ლ: სტრიტლი; 1გ: უილკინსონი; 2ს: უილკინსონი*

ირლანდიურ თამაშობათა სტადიონ „კროუკ პარკის“ მესვეურები უკმაყოფილონი არ დარჩებიან, მორაგბეებს რომ დართეს თავისთან ბურთაობის ნება. სტადიონთან დაკავშირებით ატეხილი დავიდარაბა მალე ყველას დაავიწყდება, ამ თამაშს კი ირლანდიური სპორტის ისტორია სათუთად შეინახავს და მომავალ თაობებს სიამაყით მოუთხრობს.

შაბათს 70 ათასმა ირლანდიელმა იხილა, როგორ შემუსრეს მათმა მორაგბეებმა საუკუნოვანი მეტოქე. ირლანდიის რესპუბლიკური არმია ვერ დამართებდა ინგლისელებს ისეთ ამბავს, „სამყურებმა“ „ვარდებს“ რომ დააწიეს. მასპინძლებმა სტუმრები პირდაპირ წალეკეს, გადაუარ-გადმოუარესეს და მათგან თითქმის არაფერი დატოვეს. ირლანდიის 30-ქულიანი გამარჯვება რეკორდია ამ ორთა შორის შეხვედრების ასწლოვან ქრონიკებში და 8 ქულით აჭარბებს 60 წლის წინ დამყარებულ ძველ რეკორდს. ინგლისელთა სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ ეს სხვაობა სავსებით შეესაბამება ამ ორი გუნდის თამაშის ხარისხს შორის განსხვავებას.

ირლანიდელებმა აბსოლუტურად ყველაფერში აჯობეს ინგლისელებს, განსაკუთრებით, კი მორკინალებმა — დერეფანი პირწმინდად მოუგეს, შერკინება გადათელეს და სტატიკურ ეპიზოდებში, მოლებსა თუ რაქებშიც იმდენჯერ აართვეს ბურთი, რომ „ვარდ“ ფორვარდებს კარგახანს თავი არსად გამოეყოფათ. სტუმრებს არც უკანა ხაზში ადგათ ბევრად უკეთესი დღე — ხეირიანი მომენტი ირლანდიელთა მეხუთედიც ვერ შექმნეს. თუ არ ჩავთვლით ინგლისელი ახალწვეულის დევიდ სტრიტლის სამ განავარდებას (მათგან ერთი ლელოთიც დასრულდა), მსოფლიოს ჩემპიონები ირლანდიური შეტევების მოგერიებაში ატარებდნენ დროს და თან ვერც იგერიებდნენ. ინგლისელთა ხელითსატარებელ ვარსკვლავ ჯონი უილკინსონსაც არცთუ ხშირად ეძლეოდა თავისი ჯადოფეხის ხმარების საშუალება.

ირლანდიელები კი, პირიქით, ყველაფერს მძლავრად და ლაზათიანად აკეთებდნენ, ყველაფერი გამოსდიოდათ, თითქოს მსოფლიოს ჩემპიონებს კი არა, ვიღაც ლლაპებს ხვდებიანო. ოთხი ლელო გაიტანეს, რონან ოგარამ კი ყველა გარდასახა და ზედაც 5 საჯარიმო მოაყოლა, რამაც ჯამში, მის ყულაბაში 23 ქულა ჩააჩხრიალა.

ერთიც სათქმელია: ინგლისის ისედაც მრავალნატანჯი და ვარსკვლავჩამქრალი ნაკრები, ვინ მოთვლის, მერამდენედ დაალალატა უდისციპლინო და მუდამ უხეშად „მოთამაშე“ ზორბა მორკინალმა დენი გრივკოკმა. მატჩის 28-ე წუთზე მსაჯმა ის მორიგი უხეშობისთვის მოედნიდან 10 წუთით მიასინბინა, რაც მის გუნდს ორ ლელოდ ანუ 14 ქალად დაუჯდა.

ამ თამაშმა ხალხს მსოფლიოს დაცემული ჩემპიონის ნამდვილი სახე დაანახვა. ინგლისს ისევ უჭირს — ახალი თავკაცის ბრაიან ეშტონის ხელში თითქმის ისეთივე უხეირო გუნდია, როგორიც მის წინამორბედ ენდი რობინსონის დროს იყო. უილკინსონის ფეხჯომარდობა კი მხოლოდ ისეთ გუნდებთან შეხვედრებში ჭრის, როგორებიც ექვსი ერის მაჩანჩალები — შოტლანდია და იტალია არიან. მომდევნო ტურში „ვარდები“ ფრანგებს ხვდებიან, მერე კი დღემდე მოუგებელ და გაალმასებულ უელსს და თუ ვერც მათ მოუგეს...

24 თებერვალი. ედინბურგი

**შოტლანდია 17:37 იტალია**

***შოტლანდია:** 2ლ: დევი, პატერსონი; 2გ: პატერსონი; 1ს: პატერსონი*

***იტალია:** 4ლ: მაურო ბერგამასკო, სკანავაკა, რობერტსონი, ტრონკონი; 4გ: სკანავაკა; 3ს: სკანავაკა*

უფრო ხმაურიანი სენსაცია გამოცხვა ედინბურგში, სადაც იტალიამ მასპინძელი შოტლანდია დასცხა და ექვს ერში თამაშის 7 წელიწადში პირველი გასვლითი გამარჯვება მოირაგბა. იტალიელები მოედანზეც ხომ დაფრინავდნენ და თამაშის მერე სიხარულით მთლად გაშალეს ფრთები.

იტალია რომ მოიგებდა, შეხვედრას წუთებში კი არა, ლამის პირველივე წამებში შეეტყო. თამაშში სტუმრებმა შეიყვანეს ბურთი, შოტლანდიელებმა ვერ მოახერხეს მისი დაჭერა, დაუვარდათ და სანამ დაბნეულები ერთმანეთს აწყდებოდნენ, ოვალი საიდანლაც გამოვარდნილმა მაურო ბერგამასკომ მოიხელთა და დაბნეულ სქოთ დამცველთა მწკრივიც გაარღვია. ლელო 18 წამში!

ეს კიდევ არაფერი, მასპინძლებს კოშმარი წინ ელოდათ. იტალიელებმა გახევებული სქოთები ექვს წუთში კიდევ ორჯერ დაალელოვეს, ზედაც ყველა გარდასახვა გაუტანეს და უკვე მეშვიდე წუთისთვის 21:0 (!) დაწინაურდნენ. შოტლანდიელები თავიანთი გულშემატკივრის ავისმომასწავებელმა ქუხილმა გამოაფხიზლა, გონს მოეგნენ და რაგბის თამაში სცადეს, თითქოს უპირატესობაც მოიპოვეს და სხვაობის შემცირება იწყეს, მაგრამ არც იტალიელები იყვნენ „მარიფილზე“ სპაგეტის საჭმელად შესულები. ბოლოს სტუმართა ვეტერანმა 9 ნომერმა სანდრო ტრონკონიმ სქოთებს მეოთხე ლელოც ურქინა და თავისი ალბათ საუკეთესო თამაში ასეთი ომახით დაასრულა.

24 თებერვალი. პარიზი

**საფრანგეთი 32:21 უელსი**

**საფრანგეთი:** პუატრენო, კლერი, მარტი, ჟოზიონი, დომინისი; სკრელა, მინონი; ვერმულენი, ბონარი, ბესენი, თიონი, ნალე, მასი, იბანიესი (კაპ), მილუ

სათადარიგოები: ოუგუსტი, მარკონე, ლამბოლი, არინორდოკი, იაშვილი, ბიუ, რუჟერი

*2ლ: დომინისი, ნალე; 2გ: სკრელა; 6ს: სკრელა (5), ბიუ*

*უელსი: 3ლ: პოპჰემი, შალკინი, რობინსონი; 3გ: ს. ჯონსი*

შედარებით უხმაურო და სრულიად უსენსაციო გამოდგა ტურის მესამე შეხვედრა. ტურნირს ერთადერთ დაუმარცხებელ გუნდად შემორჩენილმა საფრაგგეთმა მძიმე ბრძოლაში აჯობა დღემდე მოუგებლად მოთამაშე უელსს.

უელსმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, თავიდან ორი ლელოც გაიტანა და 14:3 დაწინაურდა, მაგრამ საფრანგეთმა ისევე როგორც წინა ტურში ირლანდიასთან, ახლაც მოახერხა ჩამორჩენის გაბათილება და დაწინაურება. უელსმა ლელოებში 3:2 აჯობა საფრანგეთს, მაგრამ მასპინძლებმა საჯარიმოებით გატეხეს კბილებით მეომარი მოწინაალმდეგე.

**კოტე ყორშია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 3 | 0 | 0 | +50 | 6 |
| ირლანდია | 2 | 0 | 1 | +37 | 4 |
| ინგლისი | 2 | 0 | 1 | +5 | 4 |
| იტალია | 1 | 0 | 2 | -29 | 2 |
| შოტლანდია | 1 | 0 | 2 | -30 | 2 |
| უელსი | 0 | 0 | 3 | -33 | 0 |

IV ტური

10 მარტი

**შოტლანდია — ირლანდია**

**იტალია — უელსი**

11 მარტი

**ინგლისი — საფრანგეთი**

V ტური

17 მარტი

**იტალია — ირლანდია**

**საფრანგეთი — შოტლანდია**

**უელსი — ინგლისი**






ვიშვანათან ანანდი და ვასილ ივანჩუკი ყაიმზე შეთანხმდნენ

## მორელია-ლინარესის სუპერტურნირი

მექსიკა-ესპანეთი. 16 თებერვალი - 11 მარტი

VI ტური

| | | |
|---|---|---|
| მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 0,5:0,5 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 0,5:0,5 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) |
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 0,5:0,5 | ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) |
| ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 0,5:0,5 | პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) |

| | |
|---|---|
| 1. მაგნუს კარლსენი | 4,0 |
| 2. ვიშვანათან ანანდი | 3,5 |
| 3. ლევონ არონიანი | 3,5 |
| 4. ვასილ ივანჩუკი | 3,0 |
| 5. პეტერ ლეკო | 3,0 |
| 6. პიოტრ სვიდლერი | 3,0 |
| 7. ვესელინ ტოპალოვი | 2,0 |
| 8. ალექსანდრ მოროზევიჩი | 2,0 |

# მშვიდობის გეშინოდეს, ვესელინ!

**მეექვსე ტურის** ოთხივე პარტია ყაიმით დასრულდა და ცხრილში ყველა თავის ადგილზე დარჩა. ლიდერი კვლავ 16 წლის მაგნუს კარლსენია. მას 4 ქულა აქვს და უახლოეს მდევრებს ნახევარი ქულით უსწრებს. ვერა და ვერ გამოასწორა თამაში ფიდეს პირველმა ნომერმა ვესელინ ტოპალოვმა. ბულგარელ სტომატოლოგს ჯერ პარტიაც არ მოუგია და შესაბამისად, ალექსანდრ მოროზევიჩთან ერთად ბოლო ადგილზეა.

დაძაბული გამოდგა ანანდისა და ივანჩუკის შეხვედრა. მეტოქეებმა დებიუტში სიცილიური დაცვა გაითამაშეს, თითო პაიკი გაცვალეს და ფლანგების გაძლიერებას შეუდგნენ. მე-14 სვლაზე ინდუსმა უკრაინელს კუ მხედარში გაუცვალა, ხელმწიფის ფლანგიდან პაიკებით მიაწვა და გაცვლები დაიწყო. საპასუხოდ ივანჩუკმაც იერიშებს მიმართა, ანანდის ლაშქარი უკან გააძევა და 32-ე სვლაზე ყაიმზე დაიყოლია.

**ლაშა გეგეჭკორი**



ჟუსტინ ენინი

# ენინმა არდენი დაიპყრა
## ვინუს უილიამსი: ჩვენ დავბრუნდით!

| კაცები |
| --- |
| როტერდამი (ჰოლანდია) |
| ჰარდი (დარბაზი) |
| საპრიზო 786 250 € |

**ნახევარფინალი**

**ივან ლიუბიჩიჩი** (3, ხორვატია) — ნიკოლაი დავიდენკო (1, რუსეთი) 4:6 7:6 7:6; **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — ნოვაკ ჯოკოვიჩი (5, სერბეთი) 3:6 7:6 7:5

არც რუსული ფინალი გამოვიდა და არც სერბულ-ხორვატული. როტერდამის ჰერქვეშა ჰარდზე მიმდინარე წარმომადგენლობითი შეჯიბრის ნახევარფინალში მხოლოდ სლავები გავიდნენ და რუსები სამხრეთელებთან თანაბრად გაიყარნენ.

ოღონდაც, ბოლომდე ფრე არ გამოვა — ლიუბიჩიჩი და იუჟნი ყაიმზე ვერ შეთანხმდებიან. ეს, ალბათ არც შედის მათ გეგმებში ეს განსაკუთრებით ლიუბიჩიჩზე ითქმის, რომელმაც თავისი მძლავრი მოწოდების წყალობით ტაიბრეიკებზე დაჯაბნა პირველ ნომრად განთესილი ნიკოლაი დავიდენკო და ორწლიანი შესვენების შემდეგ ისევ გავიდა როტერდამული ტურნირის ფინალში.

2005 წელს ივანს დიადმა როჯერ ფედერერმა მოუგო. ახლა კი შვეიცარიელის ადგილას მიხაილ იუჟნია, რომელიც ჰოლანდიაში მშვენივრად კი თამაშობს, მაგრამ მოგების მეტი შანსი, ალბათ, მაინც ხორვატს აქვს.

| კაცები |
| --- |
| მემფისი (აშშ). ჰარდი (დარბაზი) |
| საპრიზო 757 000 $ |

**ნახევარფინალი**

**ენდი როდიკი** (აშშ) — ენდი მიურეი (3, ბრიტანეთი) 6:3 7:6; **ტომი ჰაასი** (2, გერმანია) — მარდი ფიში (4, აშშ) 6:3 6:4

ზედიზედ მეორე კვირაა, ამერიკულ ჰერქვეშა ჰარდზე ენდების ნახევარფინალს ვუყურებთ. შვიდი დღის წინათ სან ხოსეში ჭაბუკმა ბრიტანელმა ენდი მიურეიმ დაჯაბნა მასპინძელი ენდი როდიკი და მერე ტიტულიც მოიპოვა აყლაყუდა ხორვატ ივო კარლოვიჩთან უმძაფრეს ჯახში.

ამჯერად იანკების პირველმა ჩოგანმა შეძლო რევანშის აღება და ფინალში მშვენივრად მოთამაშე გერმანელ ტომი ჰაასს დაუპირისპირდება. კიდევ ერთმა ამერიკელმა მარდი ფიშმა ჰაასი 25 ეისით კი დაბომბა, მაგრამ გერმანელი მთელი შეხვედრის მანძილზე მაინც მშვიდად აკონტროლებდა თამაშს და წუთითაც არავინ დაუეჭვებია თავის უპირატესობაში.

| კაცები |
| --- |
| ბუენოს აირესი (არგენტინა) |
| თიხა. საპრიზო 445 000 $ |

**ნახევარფინალი**

**ხუან მონაკო** (არგენტინა) — ნიკოლას ალმაგრო (4, ესპანეთი) 6:1 7:6; **ალესიო დი მაურიო** (იტალია) — დიეგო ჰარტფილდი (არგენტინა) 6:1 6:4

ბუენოს აირესის თიხნარს შემორჩენილი ბოლო განთესილი ესპანელი ნიკოლას ალმაგრო ნახევარფინალს და კორტის მასპინძელ ხუან მონაკოს ემსხვერპლა. შედეგად, ისედაც დაბალრეიტინგიანი შეჯიბრის ფინალში მთლად უცნობი ხალხი გავიდა.

| ქალები |
| --- |
| დუბაი (საამიროები). ჰარდი (დარბაზი). საპრიზო 1 500 000 $ |

**ნახევარფინალი**

**ჟუსტინ ენინი** (1, ბელგია) — სვეტლანა კუზნეცოვა (3, რუსეთი) 1:6 6:4 6:0; **ამელი მორესმო** (2, საფრანგეთი) — ელენა იანკოვიჩი (6, სერბეთი) 6:2 *(უარი)*

**ფინალი**

**ენინი** — მორესმო 6:4 7:5

ჭინკა ბელგიელმა ჟუსტინ ენინმა სეზონის დასაწყისში არსებული პირადი პრობლემები, რომელიც ქმართან გაცილებით იყო გამოწვეული და რომელმაც ავსტრალიური სლემტურნირი გამოეტოვებინა, როგორც ჩანს, საბოლოოდ მოიშორა, ნაქმარევს გვართან ერთად გაატანა და ბრწყინვალე სტილში მოიგო ბობოლა არაბული ტურნირი.

ჟუსტინი წელს მეორე შეჯიბრზე თამაშობდა. თანაც დუბაი მისი ერთ-ერთი უსაყვარლესი ტურნირია — საამიროებში მას 2003-04, 2006 წლებშიც მოუგია და აჰა, მეოთხე ტიტულიც მიიღო არაბი შეიხის ხელიდან.

ფინალში ბელგიელმა პირწმინდად დაჩაგრა მორესმო, ვისთანაც შარშან ორი სლემტურნირის ფინალი წაეგო და ვისთვისაც ეს ზედიზედ მეორე გადამწყვეტი თამაში იყო. ოღონდ, თუ ბელგიურ ანტვერპენში ფრანგმა აჯობა მასპინძლების ჯილა კიმ კლაისტერსს, დუბაიში მეორე ბელგიელს ვერაფერი მოუხერხა.

ენინმა მე-13 პირად შეხვედრაში მეშვიდედ სძლია მორესმოს და კარიერაში 30-ე ტიტული მოიპოვა.

| ქალები |
| --- |
| მემფისი (აშშ). ჰარდი (დარბაზი) |
| საპრიზო 175 000 $ |

**ნახევარფინალი**

**შაჰარ პირი** (1, ისრაელი) — მეილინ ტუ (აშშ) 6:4 7:5; **ვინუს უილიამსი** (7, აშშ) — იოანა რალუკა ოლერუ (რუმინეთი) 6:3 6:2

**ფინალი**

**უილიამსი** — პირი 6:1 6:1

ენინის არ იყოს, მშვენიერი დაბრუნება მოიწყო ვინუს უილიამსმაც, ვისაც 2005 წლის უიმბლდონის შემდეგ არაფერი მოეგო და აჰა, კარიერაში 34-ე ტიტულით შეწყვიტა ეს მშრალი სერია. უფროსმა უილიამსმა ფინალურ მატჩში სულ რაღაც 68 წუთი იმყოფინა ოცეულის წევრი ებრაელი შაჰარ პირის დასამარცხებლად და ყველას აგრძნობინა, გვიფრთხილდით — სერენა დაბრუნდა და მეც ვბრუნდები.

| ქალები |
| --- |
| ბოგოტა (კოლუმბია). თიხა |
| საპრიზო ფონდი 175 000 $ |

**ნახევარფინალი**

**ტატიანა გარბინი** (1, იტალია) — ლოდრეს დომინგეს ლინო (7, ესპანეთი) 6:3 6:1; **რობერტა ვინჩი** (6, იტალია) — ფლავია პენეტა (2, იტალია) 3:6 7:6 6:2.



ვინუს უილიამსი






ფლორიდელმა „პანტერებმა" ბოსტონელი „დათვები" „შეჭამეს" და გაიხარეს

# რეგულარული ჩემპიონატი

**23 თებერვალი**

**დალასი 4:1 ანაჰაიმი**
*2:0 1:0 1:1*
1:0 ნადი (7), 2:0 ბერჩი (11), 3:0 იოკინენი (54), 4:0 ლეჰტინენი (41), 4:1 პერი (56)

**ტამპა 2:6 ბოსტონი**
*1:2 0:2 1:2*
0:1 შტურმი (2), 1:1 ბოილი (6), 1:2 ბოიესი (10), 1:3 ბოიესი (24), 1:4 კესელი (33), 1:5 ბოჩენსკი (45), 1:6 ჩისტოვი (50), 2:6 კუბა (55)

**დეტროიტი 3:4 ედმონტონი**
*2:1 1:1 0:1 0:0 (0:1 ბულიტები)*
1:0 ზეტერბერგი (5), 2:0 ჰოლმსტრომი (8), 2:1 სმიტი (15), 2:2 ტორესი (33), 3:2 ფილპულა (36), 3:3 რიზონერი (49)

**24 თებერვალი**

**ნიუ ჯერსი 2:4 ვაშინგტონი**
*0:1 1:2 1:1*
0:1 იურჩინა (9), 0:2 სიომინი (23), 0:3 პეტინგერი (25), 1:3 იანსენი (31), 1:4 ფრეიშმანი (45), 2:4 პანდოლფო (55)

**რეინჯერსი 2:3 კოლუმბუსი**
*2:1 0:2 0:0*
1:0 ბეტსი (3), 2:0 იაგრი (6), 2:1 ერიკსონი (19), 2:2 ჩიმერა (32), 2:3 ნეში (36)

**ფილადელფია 2:5 ტორონტო**
*0:1 1:2 1:2*
0:1 სტინი (12), 0:2 ონილი (33), 0:3 კილგერი (38), 1:3 კაპანენი (39), 1:4 სუნდინი (49), 1:5 პოლი (59), 2:5 განიე (60)

**აილენდერსი 3:2 მონრეალი**
*2:1 1:0 0:1*
1:0 ტამბელინი (3), 1:1 სურეი (14), 2:1 ბლეიკი (16), 3:1 ნილსენი (31), 3:2 პიგინსი (44)

**ფლორიდა 7:2 ბოსტონი**
*3:0 2:2 2:0*
1:0 პელტონენი (5), 2:0 უაიზი (8), 3:0 ჰორტონი (20), 4:0 გრეტონი (32), 5:0 იოკინენი (33), 5:1 სავარი (35), 5:2 ბოიესი (35), 6:2 ჟელინა (46), 7:2 გრეტონი (48)

**ნეშვილი 4:3 დეტროიტი**
*1:0 1:2 1:1 1:0 (ოვერტაიმი)*
1:0 კარია (19), 1:1 ჰოლმსტრომი (21), 1:2 ჰოლმსტრომი (23), 2:2 ლეგვანდი (32), 2:3 ჰოლმსტრომი (55), 3:3 კარია (59), 4:3 ფორსბერგი (63)

**ოტავა 6:5 ბუფალო**
*1:1 3:1 2:3*
0:1 ტალინდერი (3), 1:1 სპეცა (15), 2:1 ჰითლი (27), 3:1 შუბერტი (28), 4:1 კელი (29), 4:2 როი (36), 4:3 პომინვილი (41), 5:3 ალფრედსონი (43), 5:4 ვანეკი (48), 5:5 ტალინდერი (52), 6:5 სპეცა (56)

**ატლანტა 1:4 კაროლინა**
*0:2 0:0 1:2*
0:1 უილიამსი (16), 0:2 კომოდორი (18), 1:2 ეკსელბი (49), 1:3 უილიამსი (54), 1:4 უიტნი (60)

**კალგარი 7:4 სან ხოსე**
*2:0 2:4 3:0*
1:0 ფანეფი (6), 2:0 ლენგკოუ (8), 2:1 კარლი (25), 2:2 პაველსკი (26), 2:3 გრირი (36), 3:3 იგინლა (36), 3:4 მაკლარენი (39), 4:4 ლომბარდი (40), 5:4 იგინლა (41), 6:4 ლენგკოუ (57), 7:4 ნილსონი (60)

**ლოს ანჯელესი 6:5 კოლორადო**
*2:0 0:2 3:3 0:0 (1:0 ბულიტები)*
1:0 კოპიტარი (9), 2:0 უილსლი (15), 2:1 კლარკი (25), 2:2 ლაპერერი (32), 2:3 ლაილზი (42), 2:4 სვატოში (45), 3:4 ფლოროვი (50), 3:5 ჰეიდუკი (53), 4:5 ვიშნოვსკი (56), 5:5 ბლეიკი (60)

# მსოფლიოს ჩემპიონატი

## საპორო. იაპონია. 22 თებერვალი – 4 მარტი

# ვაჰ, სიმონ?! ის, ძველი ამანი



სიმონ ამანი

**გასულ უქმეებზე** საპოროში, სადაც ბარის მოთხილამურეთა მსოფლიოს ჩემპიონატი გრძელდება, ოთხ სახეობაში გაირკვა ჩემპიონ-პრიზიორთა ვინაობა.

ამ ეტაპისთვის ჩემპიონატის მთავარი გმირი ფინელი ორჭიდელი ჰანუ მანინენია, რომელმაც სპრინტში მოპოვებულ ინდივიდუალურ ოქროს, გუშინ სამ თანამემამულესთან ერთად,გუნდური გამარჯვება დაამატა.

ფინელთა კვარტეტი მანინენის, ანსი კოივურანტას, იანე რიინაენენისა და იააკო ტალუსის შემადგენლობით, უკვე ტრამპლინის შემდეგ დაწინაურდა გვარიანი უპირატესობით. 4X5 კილომეტრზე ესტაფეტის პირველ სამ ეტაპზე გერმანელებმა სებასტიან ჰასენეის, რონი აკერმანისა და ტინო ედელმანის ძალისხმევით შეძლეს ფინელთა დაწევა, მაგრამ ბოლო ეტაპზე ჩრდილოელთაგან მანინენი იყო. და მან ისევე, როგორც სპრინტერულ რბოლაში, ახლაც შორს ჩამოიტოვა ბიორნ კირხაიზენი.

დიდ ტრამპლინზე ყველას სოლტ ლეიკ სიტის 2002 წლის ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონმა სიმონ ამანმა აჯობა. ხუთი წლის წინანდელი ტრიუმფის შემდეგ შვეიცარიელი კარგა ხანს ჩრდილში იყო, მაგრამ ამ სეზონში გამოიღვიძა და აკურაივას დიდ ტრამპლინზე სულ მცირედით, 0,2 ქულით აჯობა ჯეელ ფინელ ჰარი ოლის, ვისთვისაც ეს პირველი დიდი წარმატებაა.

პირველი ნახტომის შემდეგ ამანი ლიდერობდა, მაგრამ მეორე ცდაზე ოლი დიდებულ სტილში გაფრინდა 136,5 მტერზე (დღის საუკეთესო შედეგი) და შვეიცარიელი მძიმე სიტუაციაში ჩააყენა. ოლიმპიური ჩემპიონი მაინც არ შერცხვა — მხოლოდ 134,5 მეტრზე გადახტა, მაგრამ სტილი ბრწყინვალე იყო და ამანს პირველი ცდისას მოპოვებული უპირატესობა ეყო საბოლოო გამარჯვებისთვის.

სათხილამურო სახეობებში უიქენდზე ორი ჩემპიონი გამოვლინდა — კაცთა და ქალთა დუატლონში. დუატლონი ერთგვარი კომბინირებული სახეობაა — დისტანციის ნახევარს მოთხილამურეები კლასიკური სტილით გადიან, მეორე ნახევარს — თავისუფალით.

კაცების 30 კილომეტრიან დისტანციაზე შეჯიბრს თავიდან ბოლომდე აკონტროლებდნენ გერმანელები მსოფლიოს თასის ლიდერის ტობიას ანგერერის თამადობით. თუმცა, ფინიშამდე ნახევარი კილომეტრიღა რომ რჩებოდა, ჭაბუკმა ნორვეგიელმა პეტერ ნორტუგმა მძლავრი შეტევა წამოიწყო და ალბათ, გერმანელები ოქროს გარეშე დარჩებოდნენ, მაგრამ ნორტუგს სისწრაფეში ფეხი აებლანდა და სამი გერმანელი და პიეტრო პილერ კოტლერი წინ გაუშვა. იტალიელმა გერმანელებს მხოლოდ ბრინჯაო წაართვა, ჩემპიონობა კი მძლავრი საფინიშო სპურტით აქსელ ტაიხმანმა იზეიმა.

ფინიშზე გაირკვა გამარჯვებულის ვინაობა ქალებშიც. აქ მთავარ ფავორიტად ვირპი კუიტუნენი ითვლებოდა, მაგრამ ფინელს ჯერ კიდევ დისტანციის პირველ ნახევარში შეემთხვა მარცხი და სხვა ფინელებმა კი რუს ოლგა ზავიალოვას, ჩეხ კატერინა ნოიმანოვას, ნორვეგიელ კრისტიან სტორმერს სტეირასა და გერმანელ ევის ზახენბახერს კონკურენცია ვერ გაუწიეს.

საბოლოოდ ზავიალოვამ დამაჯერებლად იმარჯვა და რუსების ყულაბაში პირველი იაპონური ოქრო ააჩხრიალა.

**გია მუჯირი**



აქსელ ტაიხმანი

## თხილამურობა

| კაცები. დუატლონი 30 კმ მასსტარტით | |
|---|---|
| 1. აქსელ ტაიხმანი (გერმანია) | 1სთ11 წთ 35,08 წმ |
| 2. ტობიას ანგერერი (გერმანია) | +0,5 წმ |
| 3. პიეტრო პილერ კოტრერი (იტალია) | +0,9 |
| 4. იანს ფილბრიხი (გერმანია) | +3,2 |
| 5. პეტერ ნორტუგი (ნორვეგია) | +8,2 |

| ქალები. დუატლონი. 15 კმ მასსტარტით | |
|---|---|
| 1. ოლგა ზავიალოვა (რუსეთი) | 41 წთ 27,5 წმ |
| 2. კატერინა ნოიმანოვა (ჩეხეთი) | +0,5 წმ |
| 3. კრისტინ სტორმერ სტეირა (ნორვეგია) | +2,1 |
| 4. ევი ზახენბახერი (გერმანია) | +4,6 |
| 5. რიიტა ლიზა როპონენი (ფინეთი) | +24,0 |

## სათხილამურო ორჭიდი

| გუნდური (HS 134-ორი ნახტომი+4X5 კმ. ესტაფეტა) | |
|---|---|
| 1. ფინეთი (კოივურანტა, რიინაენენი, ტალუსი, მანინენი) | 49 წთ.14,9 წმ. |
| 2. გერმანია (ჰასენეი, აკერმანი, ედელმანი, კირხაიზენი) | 49.43,3 |
| 3. ნორვეგია (კლემეტსენი, რიანი, ტანდე, მოანი) | 50.26,9 |
| 4. ავსტრია (ბილერი, კრაინერი, შტეხერი, გოტვალდი) | 50.27,3 |
| 5. შვეიცარია (ჰეერი, ა. ჰარშლერი, ს. ჰარშლერი, რაიდერი) | 52.56,7 |

## ტრამპლინიდან ხტომა

| HS 134. პირადი | |
|---|---|
| 1. სიმონ ამანი (შვეიცარია) | 266,1 ქულა (125,0 მ+134,5 მ) |
| 2. ჰარი ოლი (ფინეთი) | 265,9 (124,0+135,6) |
| 3. როარ ლიოკელსოი (ნორვეგია) | 262,9 (123,0+135,0) |
| 4. ადამ მალიში (პოლონეთი) | 258,3 (122,0+131,5) |
| 5. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) | 255,3 (122,0+131,5) |



# მსოფლიოს თასი



ერიკ გუეი

# ახალი ხალხი

**შვედურ** არეში ჩასრიალებული მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მთის მოთხილამურეები მსოფლიოს თასს დაუბრუნდნენ და გასულ უქმეებზე ორი ეტაპი აითვისეს — კაცები გერმანულ გარმიშ პარტენკირხენში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ხოლო ქალები — ესპანური სიერა ნევადას ფერდობებზე.

გერმანიაში მიყოლებით ორი სწრაფდაშვება გაიმართა და მთავარ როლებში უცნობი ხალხი მოგვევლინა — სლოვენიელი ანდრეი იერმანი და კანადელი ერიკ გუეი.

ერმაც და მეორემაც კარიერაში პირველად მოიგო მსოფლიოს თასის ეტაპი — პარასკევს სლოვენიელმა იმარჯვა, შაბათს — კანადელმა. თანაც გუეი პირველ ჯერზე მესამე იყო, ხოლო იერმანი შაბათს მეორეზე გავიდა და მათ ასეთ სტაბილურობას შემთხვევითობას ველარ ვუწოდებთ.

საინტერესოა, რომ კანადელ კაცს სწრაფდაშვებაში 1994 წლის შემდეგ არ ემარჯვა. ბოლოჯერ ეს კარი მალენმა შეძლო შვედურ ალპენში და აი, 13 წლის შემდეგ გუეიმ გაიმეორა მალენის მიღწევა.

ქალებმა სიერანევადური ეტაპი გიგანტური სლალომით დაიწყეს და გამარჯვებულმა, ავსტრიელმა მიხაელა კირხგასერმა, იერმანისა და გოუის არ იყოს, კარიერაში პირველი გამარჯვება მოიპოვა.

პირველი ცდის შემდეგ მიხაელა მეორე იყო და 0,71 წამს აგებდა ფინელ ტანია პოუტაიანენთან, მაგრამ მეორე დაშვებისას ავსტრიელი იდეალური იყო, ხოლო ფინელმა შეცდომები დაუშვა, ვერ გარისკა და, პირველ ადგილს ვინ ჩივის, მხოლოდ მესამეთი დაკმაყოფილდა — მეორე ავსტრიელმა ნიკოლ ჰოსპმა, ჯამში წამის 16 მეასედით აჯობა.

## კაცები

გარმიშ-პარტენკირხენი (გერმანია). 23-25 თებერვალი

| სწრაფდაშვება | |
|---|---|
| 1. ანდრეი იერმანი (სლოვენია) | 1წთ. 56,82წმ. |
| 2. ჰანს გრუგერი (ავსტრია) | 1.57,04 |
| 3. ერიკ გუეი (კანადა) | 1.57,26 |
| 4. დიდიე დეფაგო (შვეიცარია) | 1.57,29 |
| 5. პიერ-ემანუელ დალცინი (საფრანგეთი) | 1.57,49 |

| სწრაფდაშვება | |
|---|---|
| 1. ერიკ გუეი (კანადა) | 1.56,80 |
| 2. ანდრეი იერმანი (სლოვენია) | 1.57,30 |
| 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 1.57,33 |
| 4. კრისტოფ გრუბერი (ავსტრია) | 1.57,37 |
| 5. იან ჰადეცი (კანადა) | 1.57,42 |

| საერთო ჩათვლა | |
|---|---|
| 1. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) | 807 ქულა |
| 2. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 748 |
| 3. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 705 |
| 4. ბოდე მილერი (აშშ) | 643 |
| 5. პეტერ ფილი (იტალია) | 589 |

## ქალები

სიერა ნევადა (ესპანეთი). 24-25 თებერვალი

| გიგანტური სლალომი | |
|---|---|
| 1. მიხაელა კირხგასერი (ავსტრია) | 2.14,41 (1.07,74+1.06,67) |
| 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 2.14,83 (1.08,27+1.06,56) |
| 3. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) | 2.14,99 (1.07,03+1.07,96) |
| 4. ანია პერსონი (შვედეთი) | 2.15,02 (1.08,25+1.06,77) |
| 5. კარინ პუცერი (იტალია) | 2.15,67 (1.08,00+1.07,67) |

| საერთო ჩათვლა | |
|---|---|
| 1. რენატე გიოტჩლი (ავსტრია) | 1019 ქულა |
| 2. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 932 |
| 3. ჯულია მანკუზო (აშშ) | 943 |
| 4. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 939 |
| 5. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 808 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბეიტიამ სიმაღლეში გაუტია
## ელენას ჭოკი ნაცარში ჩაუვარდა

ევროპის დარბაზებში ზამთრის მძლეოსნური სეზონი დუღს. გასულ უქმეებზე ერთბაშად რამდენიმე ქალაქის ჭერქვეშეთში გაიმართა საკმაოდ წარმომადგენლობითი ტურნირები და თავი ყველაზე მეტად მხტომელმა ქალებმა გამოიჩინეს.

ხორვატიულ სპლიტში, სულაც მხოლოდ სიმაღლეზე მხტომელი ქალები შეიკრიბნენ. თან სულ ბობოლები — მასპინძელთა ჯილას ბლანკა ვლასიჩს სეზონის ბულგარელი ლიდერი ვენელინა ვენევა და შვედი პრიმა კაისა ბერგკვისტი სტუმრობდნენ.

მშობლიურ გიოტებორგში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე დაუგეგმავი მარცხის შემდეგ ბერგკვისტი ვეღარ ჩადგა ძველებურ ფორმაში და ამჯერადაც სამი სანტიმეტრით ჩამორჩა კონკურსანტებს. შვედი 197 სმ. სიმაღლეს გადაევლო, ვენევამ და ვლასიჩმა ორმეტრიანი თამასა დაძლიეს და ცდათა ნაკლები რაოდენობით, მასპინძელთა სამწუხაროდ, პირველობა ბულგარელს ერგო.

უფრო მაღლა, 201 სანტიმეტრზე გადახტა უცნობი ესპანელი რუთ ბეიტია. ეს საბერძნეთის დედაქალაქში მოხდა და ვინ იცის, უფრო ძლიერი მეტოქეები რომ ჰყოლოდა, ესპანელს მეტი სიმაღლისთვისაც მიეღწია.



რუთ ბეიტია

ათენში საინტერესო სანახავი გამოდგა კაცთა 1500 მტრზე რბენაც, რომელიც, რაღაც თქმა უნდა, კენიელმა მოიგო. შადრაკ კორირი 3 წუთსა და 36,30 წამში ჩაეტია და ბაჰრეინელ ალი მანსურ ბილალსა და მაროკოელ აბდელაატი იგუიდერზე მცირედით წინ აღმოჩნდა.

გვარიანი შეჯიბრი გამოვიდა პარიზშიც, სადაც მთავარი გმირი ელენა ისინბაევა იყო. რუსმა ამ ჯერზეც მოინდომა მსოფლიოს რეკორდის დამყარება და ჭოკით 594 სანტიმეტრ სიმაღლეზე გადებული თამასის დაძლევა სცადა. ეს სიმაღლე ერთი სანტიმეტრით აღემატება ისინბაევასავე, ამან წინათ დონეცკში დამყარებულ რეკორდს, მაგრამ ამ ჯერზე რუსს ჭოკი ნაცარში ჩაუვარდა, თუმცა 481 სანტიმეტრით მაინც პირველი ადგილი დაიკავა.

ქალთა შორის 60 მეტრზე სპრინტი 7,22 წამით მოიგო ღია არენებისთვის ევროპის ორგზის ჩემპიონმა, ბელგიელმა კიმ გევარტმა. მეორე ადგილზე გასული ფინელი იოანა მანინენი გიოტებორგის შარშანდელი ევროპირველობის ტრიუმფატორს ხუთი მეასედი წამით ჩამორჩა.



ელენა ისინბაევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმაღლეზე ხტომით დაწყებული ამითვე დავასრულოთ და პარიზში საკმაოდ ბევრს ელოდნენ მეორე რუსისგან, ოლიმპიურ ჩემპიონ ელენა სლუსარენკოსგან, მაგრამ ის მხოლოდ 194 სანტიმეტრით დაკმაყოფილდა და, საერთოდაც, ათენის შემდეგ ხეირიანად აღარსად გადამხტარა.

**გია მუჯირი**

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 12 | სტოკი-ბარნსლი | 1.70 | 3.50 | 4.65 | 1.14 | 1.24 | 1.99 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **27 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 26 | ლონკასტერი-იოვილი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 23:45 | 27 | როტერჰემი-სუონსი | 2.80 | 3.20 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **27 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 52 | კემბრიჯი-ფორესტ გრინი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 23:45 | 53 | გრეისი-სტ.ალბანსი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | |
| 23:15 | 103 | ლუისბურგი-პანზა | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 177 | მოდენა-იუვენტუსი | 10.00 | 4.00 | 1.31 | 2.85 | 1.15 | 1.00 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | |
| 23:30 | 245 | გრენობლი-ლე ავრი | 2.65 | 2.70 | 2.70 | 1.33 | 1.33 | 1.35 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | |
| 23:00 | 299 | მარიტიმუ-ლეირია | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 23:45 | 300 | ბრაგა-ამადორა | 1.65 | 3.50 | 4.80 | 1.12 | 1.22 | 2.02 |
| 23:45 | 301 | ბენფიკა-ფერეირა | 1.35 | 4.70 | 7.00 | 1.04 | 1.13 | 2.81 |
| 23:45 | 302 | ბენფიკა-ფერეირა 0:1 | 1.85 | 3.60 | 3.00 | | | |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **რუსეთი. თასი** | | | | | | |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | |
| 15:00 | 437 | მოსკოვი-ამკარი | 1.55 | 3.20 | 6.50 | 1.04 | 1.25 | 2.14 |
| 15:00 | 438 | კრილია-ცსკა (მოსკოვში) | 6.20 | 3.70 | 1.50 | 2.31 | 1.20 | 1.06 |
| 15:00 | 439 | სიბირი-სპარტაკი მ | 6.20 | 3.50 | 1.50 | 2.23 | 1.20 | 1.04 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | |
| 22:00 | 550 | აიკ-ფრიოლუნდა | 2.20 | 4.20 | 2.20 | 1.44 | 1.10 | 1.44 |
| 22:00 | 551 | ბრიუნესი-ჰვ 71 | 2.10 | 4.20 | 2.40 | 1.39 | 1.12 | 1.52 |
| 22:00 | 552 | იურგორდენი-ლულეო | 1.90 | 4.20 | 2.60 | 1.30 | 1.09 | 1.60 |
| 22:00 | 553 | მალმიო-მოდო | 2.95 | 4.20 | 1.80 | 1.73 | 1.11 | 1.25 |
| 22:00 | 554 | მორა-ლინჩიოპინგი | 2.05 | 4.20 | 2.35 | 1.37 | 1.09 | 1.50 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **27 თებერვალი** | | | | | | |
| 20:30 | 567 | კალპა-ესპოო | 4.00 | 4.20 | 1.50 | 2.04 | 1.09 | 1.10 |
| 20:30 | 568 | ლუკო-ჰაამეენლინა | 2.30 | 4.10 | 2.10 | 1.47 | 1.09 | 1.38 |
| 20:30 | 569 | პელიკანსი-ტაპარა | 2.30 | 4.10 | 2.10 | 1.47 | 1.09 | 1.38 |
| 20:30 | 570 | სეიპა-იოკერიტი | 2.65 | 4.20 | 1.80 | 1.62 | 1.07 | 1.25 |
| 20:30 | 571 | ჰელსინკი-ტურკუ | 1.80 | 4.20 | 2.80 | 1.25 | 1.09 | 1.67 |
| 20:30 | 572 | იუვესკიულე-კერპეტი | 2.80 | 4.20 | 1.80 | 1.67 | 1.09 | 1.25 |
| 20:30 | 573 | ილვესი-ესეტი | 1.45 | 4.20 | 4.50 | 1.07 | 1.09 | 2.17 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **27 თებერვალი** | | | | | | |
| 15:00 | 601 | ამური-სიბირი | 2.80 | 4.50 | 1.70 | 1.72 | 1.05 | 1.23 |
| 15:00 | 602 | ნოვოკუზნეცკი-ს.იულაევი | 2.15 | 4.20 | 2.20 | 1.42 | 1.08 | 1.44 |
| 15:00 | 603 | ლადა-ლოკომოტივი | 2.20 | 4.20 | 1.90 | 1.44 | 1.01 | 1.30 |
| 15:00 | 604 | ტრაქტორი-ცსკა | 2.40 | 4.20 | 1.80 | 1.52 | 1.02 | 1.25 |
| 15:00 | 605 | ვიტიაზი-ნეფტეხიმიკი | 2.10 | 4.20 | 2.20 | 1.39 | 1.07 | 1.44 |
| 15:00 | 606 | აკ-სევერსტალი | 1.70 | 4.40 | 2.50 | 1.22 | 1.01 | 1.59 |
| 15:00 | 607 | დინამო-მეჩ | 1.50 | 4.50 | 3.30 | 1.12 | 1.03 | 1.90 |
| 15:00 | 608 | აკ ბარსი-მაგნიტოგორსკი | 1.55 | 4.60 | 3.30 | 1.15 | 1.05 | 1.92 |

# დროგ-ბახ!

## ლიგის თასის ფინალი

**ჩელსი 2:1 არსენალი**

0:1 უოლკოტი (12), 1:1, 2:1 დროგბა (20, 84)
ჩელსი: ჩეხი, ლ. დიარა, რ. კარვალიუ, ტერი (მიკელი 63), ბრიჯი, ესიენი, მაკელელე (რობენი 46), ლამპარდი, ბალაკი, დროგბა, შევჩენკო (ს. კალუ 90)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
არსენალი: ალმუნია, ჰოიტი, ტურე, სენდეროსი, ტრაორე (ებუ 66), ბაპტისტა, დენილსონი, დიაბი (გლები 68), ფაბრეგასი, ალიადიერი (ადებაიორი 80), უოლკოტი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: დენილსონი, ესიენი, კარვალიუ, დიარა, ებუ, ფაბრეგასი, ლამპარდი
გაძევება: მიკელი (90), ადებაიორი (90), ტურე (90)
მსაჯი: ვები
70 073 მაყურებელი



ჯონ ტერი ძლივს მოასულიერეს

...დიდიე დროგბას გოლი გადამწყვეტი კი გამოდგა, მაგრამ თამაშის დასრულებამდე წუთები კიდევ რჩებოდა და დარჩენილ დროში ანდრეი შევჩენკოს დარტყმული „არსენალის“ კარის ხარიხას მოხვდა.

მოხვდა და, 90 წუთიც გაილია — არბიტრმა მატჩს 6 წუთი დაამატა და ამ ექვსიდან ოთხი წუთი რომ გავიდა, სწორედ მაშინ მოუხდათ მაურინიუს და ვენგერს მოედანზე მოთამაშეთა დასაშოშმინებლად შესვლა...

თამაშამდე BBC-ზე ჩნდება ცნობა, რომ კარდიფისკენ მიმავალ მატარებელზე ბილეთების შოვნა ჭირს. მით უმეტეს, ჭირს კარდიფის „მალენიუმზე“ ბილეთის შოვნა. უფრო სწორად, კი არ ჭირს, შეუძლებელია.

კარდიფელი პაბების მეპატრონეები კი კმაყოფილები არიან — ვისაც „მილენიუმის“ ბილეთი არ აქვს, თამაშს პაბში უყურებს, საზოგადოება... ლში ყურება იქ მიღებული არ არის...

ამ დროს ჩნდება ცნობა, რომ რკინიგზაზე შეფერხებაა. უმალ ვილაცები ითხოვენ, რომ თამაშის დაწყება უნდა გადაიდოს, სანამ ყველა ბილეთიანი მიაღწევს სტადიონამდე. ამგვარი მოთხოვნები, ჩანს, იმდენად ხშირია, რომ სამხრეთ უელსის პოლიციაც კი აკეთებს განცხადებას — თამაშის დაწყების დაყოვნება გამორიცხულია...

თამაში დათქმულ დროს იწყება...

...ბურთი თამაშში „არსენალს“ შეჰყავს, ბურთი უმალ „ჩელსისთან“ გადადის და მიხაელ ბალაკი თამაშგარეში ხვდება...

ბაპტისტას შორეულ დარტყმულს პეტერ ჩეხი იგერიებს და... გოლი!

„მეთოფე“ თეო უოლკოტი ბურთს ეუფლება, აბუ დიაბისთან კედელს გაითამაშებს და დაახლოებით 12 იარდიდან ურტყამს.

მაგრამ არსენალელთა სიხარულმა ოდენ 8 წუთს გასტანა. ოფსაიდის ზღვარზე მყოფმა დროგბამ ბალაკისგან მიიღო ბურთი და საჯარიმოს გარედან გაუტანა ალმუნიას.

საინტერესო ფაქტი: დიდიე დროგბასთვის ეს 27-ე გოლი იყო ამ სეზონში.

პირველი ტაიმის შუაში „ჩელსის“ გულშემატკივრების ტრიბუნებიდან რაღაც საგნები დაუშინეს „არსენალის“ ფეხბურთელებს...

„ჩელსიმ“ კი გაათანაბრა, მაგრამ თამაშით „არსენალის“ ვერ ჯობნის. პირიქით — დროგბას გოლის მერე იყო, „მეთოფეებმა“ ბურთი რომ დაიჭირეს და ბარე 15-პასიანი კომბინაცია გაითამაშეს.

მეორე ტაიმიც დაიწყო, ხალხი კი კვლავ იტყობინება, რომ ლონდონი-კარდიფის მატარებელი იგვიანებს.

მოედანზე კი „ჩელსის“ კაპიტან ჯონ ტერის დიაბის ფეხი ხვდება თავში. დარტყმა ძალიან ძლიერია. ქომაგს ერთხანს გული ცუდს უგრძნობს, მაგრამ, საბედნიეროდ, ტერი გონს მოდის, თუმცა თამაშის გაგრძელებას ველარ ახერხებს — „ჩელსის“ კაპიტანს „არსენალის“ ქომაგებიც კი ტაშით აცილებენ მოედნიდან.

...და დიდიე დროგბას გადამწყვეტი გოლიც, შევჩენკოს ხარიხაც და მწვრთნელების შესვლა მოედანზე — ეს თავში ვთქვით.

ლიგის თასის ფინალიც ასე დასრულდა...

**კოტე კეკელია**

## ვებ-არჩევნები შუსტერმა მოიგო

**სატელეფონო** და ინტერნეტ გამოკითხვების შედეგად მადრიდის „რეალის“ ფანებმა მწვრთნელად ბერნდ შუსტერი ისურვეს. გერმანელს, რომელიც ამჟამად „ხეტაფეს“ თავკაცობს, 43 პროცენტმა დაუჭირა მხარი, მეორე ადგილზე ვისენტე დელ ბოსკე (26) გავიდა, ხოლო მესამეზე — ჟოზე მაურინიუ. მხოლოდ 8 პროცენტია იმის მომხრე, რომ „რეალში“ ფაბიო კაპელო დარჩეს.

## პრანჭიას შემცვლელი

**სვენ გორან ერიკსომა**, შესაძლოა, რობერტო მანჩინი შეცვალოს, რომელიც ჯერჯერობით კონტრაქტის გახანგრძლივებას არ აპირებს. აქამდე მასიმო მორატი ცდილობდა, მწვრთნელი დაეყოლიებინა ხელშეკრულების გაგრძელებაზე, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში თუ ვერ გაიყვანს გუნდს, ალბათ, აღარ შეეხვეწება. „კორიერე დელო სპორტის“ ცნობით, მორატი დაიღალა მანჩინის პრანჭიაობით და სვენ გორან ერიკსონთან მოლაპარაკებას ეცდება.

შეგახსენებთ: ერიკსონი „სამპდორიასა“ და „ლაციოში“ რობერტო მანჩინის მწვრთნელი იყო.

## კარლომ დიდა დალოცა

**„მილანის“** მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ დაადასტურა, რომ თუკი დიდა ახალ კონტრაქტს ხელს არ მოაწერს, სეზონის ბოლოს გზას დაულოცავენ. საქმეც აქეთ მიდის. ბრაზილიელი განახლებას უარობს — ჯამაგირს არ უმატებენ და „გაძეტა დელო სპორტის“ ვერსიით, დიდამ უკვე შეათანხმა პირობები „ბარსელონასთან“.

„კლუბმა და მეკარემ ერთმანეთს სათქმელი უკვე უთხრეს. ყველაფერი გარკვეულია და ისლა დაგვრჩენია, გზა დავულოცოთ დიდას“ — თქვა ანჩელოტიმ.

## ზიზუს უბურთო ცხოვრება

**ზინედინ ზიდანმა** მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონატის შემდეგ პირველად ჩაიცვა ფორმა და ბურთი ტაილანდში გააგორა, სადაც საქველმოქმედო მატჩი გაიმართა. შეხვედრაში ტაილანდის, სინგაპურის, მალაიზიისა და ინდონეზიის „ვარსკვლავები“ მონაწილეობდნენ. ფრანგმა ორივე გუნდში 20-20 წუთი ითამაშა.

თამაშის მერე „ზიზუმ“ თქვა: „ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ ცხოვრება შესანიშნავია. თავისუფლება სასიამოვნოა.“

## კრუზმა საათს დახედა

**მიუნხენის** „ბაიერნის“ პარაგვაელ ფორვარდ როკე სანტა კრუზს გუნდიდან წასვლა უნდა, რადგან ძირითადში ველარ ხვდება.

„ვითარება სასიკეთოდ ჰიცფელდის მოსვლის შემდეგაც არ შეცვლილა — თქვა პარაგვაელმა — მეტი სათამაშო დრო მჭირდება და თუ ვერ მივიღებ, მაშინ კლუბის გამოცვლა მომიწევს.“

26 წლის სანტა კრუზი ამ სეზონში რვაჯერ იყო სასტარტოში და გოლი ვერ გაიტანა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რიო ფერდინანდი: არ ესროლოთ ერთმანეთს

**„მანჩესტერის“** მცველი რიო ფერდინანდი ახალი პროექტის სახეა. პროექტი კი ბრიტანეთის მთავრობას ეკუთვნის და იარაღის ტარების წინააღმდეგ ბრძოლას ემსახურება, რომლის დევიზი ასეთია: „ეს არ არის მაგარი რამ — ეს სიკვდილია.“

რატომ მაინცდამაინც რიო?

„მას განსაკუთრებული მისია დავაკისრეთ. რიომ უნდა დაამსხვრიოს მითი იარაღზე, რომლის ტარებაც პრესტიჟული გახდა. ბევრი ახალგაზრდა [illegible] გამო, რომ [illegible] ფერდინანდი კი არ ატარებს იარაღს და ამ მხრივ მისაბაძია“ — განაცხადა პროექტის ავტორმა.

მოზარდებს შორის დანაშაულმა ბოლოხანს ძალიან იმატა. სკოტლენდ იარდის ცნობით, 2006 წელს ლონდონში 169-ჯერ დააკავეს მოზარდი იარაღის გამოყენებისთვის, ბოლო შემთხვევას 15 წლის ბილი კოკსი ემსხვერპლა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# შერინგემი დააკვერცხეს

## ვესტ ჰემის კაპიტანს შვილის ტოლ საყვარელს ვერ პატიობენ





**ინგლისის** ნაკრების ყოფილი თავდამსხმელის, ტედი შერინგემის სახლს ჯერაც უცნობმა ხულიგნებმა კვერცხები დაუშინეს.

40 წლის შერინგემი ახლა „ვესტ ჰემში“ თამაშობს და ორ მილიონ გირვანქად ღირებული სახლი ლონდონის ერთ-ერთ უპრესტიჟულეს უბანში აქვს. პოლიციაც ეჭვობს, რომ მეკვერცხეები „ვესტ ჰემის“ ქომაგები უნდა იყვნენ.

ბრიტანული პრესის ცნობით, შერინგემმა ქომაგთა ქოქოლა იმით დაიმსახურა, რომ 23 წლის დანიელ ლოიდთან აღადგინა ურთიერთობა — აქაოდა, ჩვენი გუნდის კაპიტანი შვილის ტოლ გოგონასთან არ უნდა ლაბუცობდესო...

ძიება უკვე დაიწყო...

**კახა ზალამბერიძე**

# ტრაქტორი ხნავს მინდორ-ველებს

## მოყვარულმა მოძულეს გადაუარა

**ძალიან** უცნაური და საინტერესო რამ მოხდა სერბეთში. სამოყვარულო კლუბ „მრამორიდან“ გაგდებულმა ფეხბურთელმა სლავომირ მილხოვიჩმა მისი მოძულე მწვრთნელისთვის სამაგიეროს გადახდა განიზრახა და...

მილხოვიჩმა გუნდიდან გაგდება ვერ აიტანა, წასვლის წინ აყალმაყალი ატეხა, მერე კი თავისი მშობლების ფერმაში მივიდა, ტრაქტორს მოაჯდა და „მრამორის“ მოედანი პირისაგან მიწისა აღგავა...

სტადიონის მომსახურე პერსონალმა მაშინ შეამჩნია ყველაფერი, როცა მილხოვიჩს ნახევარი მოედანი უკვე გადახნული ჰქონდა.

მილხოვიჩი პოლიციამ დააკავა და ახლა ის განაჩენს ელის.

**კახა ზალამბერიძე**



# არ გეკადრება, სტივ!

## მსაჯებზე ლაშქრობის ტური


ლივერპულელი რობი ფაულერი დუბლით გამოირჩა

**სეზონში** ურთულესი მატჩი უწოდა ალექს ფერგიუსონმა „ფულემთან“ შეხვედრას, რომელშიც „მანჩესტერი“ აგებდა და მაინც შემოაბრუნა თამაში. კრიშტიანუ რონალდუმ კი კვლავ დაამტკიცა, რომ გუნდის ლიდერია — მატჩის დასრულებამდე ორი წუთით ადრე მარცხენა ფლანგიდან შევიდა ცენტრისკენ და იმ ფეხით გაიტანა, „ლილთან“ შეცვლით გაბრაზებულმა რომ ურტყა ბოთლებს მოედნის კიდესთან. ეს უკვე მისი მე-16 გოლია.

„შესაძლოა, ეს გოლი უმნიშვნელოვანესი გამოდგეს — თქვა ფერგიუსონმა — ასეთი რთული მატჩი ამ სეზონში არ გვქონია და კიდევ რამდენიმე მძიმე გასვლითი შეხვედრა გველის. მომდევნო ტურში „ლივერპულს“ ვსტუმრობთ. ვერ ვიტყვი, რომ იქ უეჭველად მოვიგებთ, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, გაცილებით უკეთ ვითამაშებთ, ვიდრე „ფულემთან“.

„მანჩესტერს“ ნამდვილად არ წაუვიდა თამაში „ფულემთან“ და მისავათებულივით გამოიყურებოდა, განსაკუთრებით დაცვაში.

ნემანია ვიდიჩისა და ედვინ ვან დერ სარის შეუთანხმებლობით მასპინძელმა ბრაიან მაკბრაიდმა ისარგებლა და ანგარიში გახსნა, შემდეგ კი რაიან გიგზმა მახვილი კუთხიდან გაათანაბრა.

დამხვდურებს არაერთი საგოლე მომენტი ჰქონდათ, ამიტომაც გამოცვალა დაბნეულმა ფერგიუსონმა დაბნეული ვიდიჩი და პატრის ევრა მეორე ტაიმის დასაწყისში. მაიკლ კარიკი კი ლუის საათი შეცვალა ჰენრიკ ლარსონისა და უეინ რუნის დასახმარებლად

ხოლო „ფულემის“ მწვრთნელი კრის კოულმენი ნამატჩევს მსაჯზე იყო გაბრაზებული. 2:1-ზე ვან დერ საარმა ჰრეიდარ ჰელგუსონი წააქცია და, კოულმენის აზრით, პიტერ უოლტონმა აშკარა პენალტი არ დანიშნა.

„მან „მანჩესტერის“ წინააღმდეგ წასვლა ვერ გაბედა — განაცხადა მწვრთნელმა — დარწმუნებული ვარ, ანგარიში 1:1 რომ ყოფილიყო და მსგავსი რამ „ფულემის“ საჯარიმოში მომხდარიყო, უოლტონი უეჭველად დადებდა პენალტს. მის საქციელს გამართლება არ აქვს, რადგან ეპიზოდი ძალიან კარგად დაინახა. მე, ალბათ, ასეთი ლაპარაკისთვის დამაჯარიმებენ, უოლტონს კი არავინ უსაყვედურებს“.

17-წუთიან მონაკვეთში მოუთავა საქმე „ჩარლტონმა“ „ვესტ ჰემს“ და შანსი არ დაუტოვა მეორე ატიმისთვის. მასპინძელთა მწვრთნელმა ალან პერდიუმ ჯავრი იყარა გუნდზე, საიდანაც შემოდგომაზე გააგდეს ფეხბურთელების ახირების გამო. სტუმართა თავკაცი ალან კერბიშლი კი მაშინ „ჩარლტონში“ იყო და სწორედ ის დანიშნეს „ჩაქუჩებში“ პერდიუს წასვლის შემდეგ.

ამას წინათ ვესტჰემელმა ენტონი ფერდინანდმა აღიარა, რომ ალან პერდიუს „რევოლუცია“ მან და მისმა თანაგუნდელებმა მოუწყვეს. „ჩარლტონმა“ კი „ვესტ ჰემი“ ოთხი გოლით მიაჩაქუჩა. აქედან ორი ჟერემი ტომამ შეაგდო, რომელსაც ამ სეზონში არ გაეტანა.

მას შემდეგ, რაც პორტუგალიურ შეკრებაზე ილოთავეს, „ლივერპულის“ საქმეები კარგად წავიდა. „ბარსელონას“ ხომ მოუგო და „შეფილდთანაც“ გაილაღა. მასპინძელთა სასარგებლოდ პირველ ტაიმში ორი პენალტი დანიშნეს, ორივე სტივენ ჯერარდის წაქცევისთვის და თერთმეტი მეტრიდან რობი ფაულერმა იხეირა.

შესვენების შემდეგ შეფილდელებს კიდევ გაუტანეს წყვილი გოლი და ამგვარად, უკვე 30 პრემიერლიგური მატჩია, „ლივერპული“ შინ არ დამარცხებულა.

სტუმართა მწვრთნელი ნილ უორკინსი უკმაყოფილო იყო ინგლისის ნაკრების კაპიტნის, სტივენ ჯერარდის საქციელით, რადგან, მისი აზრით, ნახევარმცველმა პირველი პენალტი მსაჯს გამოსტყუა.

„ნამატჩევს ვუთხარი სტივს, რომ ასეთი რამ არ ეკადრება. რობ კოზლუკი მას ოდნავ შეეხო ხელით, ის კი უმალ წაიქცა. ჯერარდი ისე უყურებდა მსაჯ სტივ ბენეტს, თითოს თვალებით ეუბნებოდა, პენალტი არ უნდა დანიშნო?! ბენეტმაც უარი ვერ უთხრა ინგლისის ნაკრების კაპიტანს. ბენეტი ცოტა უკეთ რომ ერკვეოდეს ფეხბურთში, ამ შემთხვევაში თერთმეტმეტრიანს არ დანიშნავდა. არადა, კოზლუკს თამაშამდე ვუთხარი, საჯარიმოში ხელები დაიმოკლე-მეთქი, მაგრამ მან დავალება ვერ შეასრულა.“

აქვე ვთქვათ ისიც, რომ პიტერ კრაუჩი მეოცე წუთზე შესაცვლელი გახდა, რადგან შეფილდელი მაიკლ ჰალსის ბუცი მოხვდა სახეში და თავ-პირ დასისხლიანებული გაიყვანეს მოედნიდან.

მიჯრით ოთხი მატჩის მომგები „რედინგი“ მიდლსბროში დაამუხრუჭეს მარკ ვიდუკას და იაკუბ აიეგბენის გოლებით. დამარცხებულთა მწვრთნელმა სტივ კოპელმა თქვა: „ჩვენი ქომაგები ისე მიეჩვივნენ მოგებას, რომ წაგების შემდეგ ისეთ პანიკას ატეხენ, თითქოს ვინმე მომკვდარიყოს. გუნდი კვლავაც მეექვსე ადგილზეა და საპანიკო არაფერია.“

**გაგა ხუციშვილი**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| დროგბა (ჩელსი) | 17 |
| რონალდუ (მანჩესტერი) | 16 |
| აიეგბენი (მიდლსბრო) | 12 |
| ვან პერსი (არსენალი) | 11 |

## ინგლისი

### პრემიერლიგა

### XXVIII ტური

**ბლექბერნი 3:0 პორტსმუთი**

1:0, 2:0 ნონდა (1, 25), 3:0 უორნოკი (50)
**ბლექბერნი:** ფრიდელი, ანშო, მოკოენა, სამბა (ხიზანიშვილი 46), უორნოკი, ბენტლი, ემერტონი, თუგაი, პედერსენი (დანი 75), დერბიშირი (რობერტსი 54), ნონდა
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
**პორტსმუთი:** ჯეიმსი, გ. ჯონსონი, ს. კემპბელი, პამარო (კრანჩარი 46), პრიმუსი, ტეილორი, დევისი (კანუ 46), ონილი, პ. მენდეში (მვუემბა 55), ენდი კოული, ლუა ლუა
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: დერბიშირი, ტეილორი, დევისი, პედერსენი, მვუემბა
მსაჯი: კლატენბურგი
17 434 მაყურებელი

**ფულემი 1:2 მანჩესტერი**

1:0 მაკბრაიდი (17), 1:1 გიგზი (29), 1:2 რონალდუ (88)
**ფულემი:** ლაშტუვკა, ვოლცი, ბოკანეგრა, კრისტენვალი, როსენიორი, რაძინსკი (ჯონი 72), მ. ბრაუნი, დიოპი (დემპსი 71), სმერტინი, დევისი, მაკბრაიდი (ჰელგუსონი 79)
მწვრთნელი: კრის კოულმენი
**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ვ. ბრაუნი, რ. ფერდინანდი, ვიდიჩი (ოში 59), ევრა (სილვესტრი 67), რონალდუ, სქოულზი, კარიკი (საა 66), გიგზი, რუნი, ლარსონი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: მ. ბრაუნი, რაძინსკი, დიოპი, ფერდინანდი, სქოულზი
მსაჯი: უოლტონი
24 459 მაყურებელი

**ლივერპული 4:0 შეფილდი**

1:0, 2:0 ფაულერი (20პ, 25პ), 3:0 ჰიიპია (70), 4:0 ჯერარდი (73)
**ლივერპული:** დუდეკი, ფინანი, კარაგერი (აგერი 77), ჰიიპია, რიისე, პენანტი, ჯერარდი (ხაბი ალონსო 74), მასკერანო, მ. გონსალესი, კრაუჩი (კუიტი 23), ფაულერი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
**შეფილდი:** კენი, გირი, იაგიელკა, ლუკეტი (მორგანი 32), არმსტრონგი, კოზლუკი (კაზიმ-რიჩარდსი 25), ტონგე, ფატი, მონტგომერი, ს. ქუინი (სტიდი 66), ჰალსი
მწვრთნელი: ნილ უორნოკი
გაფრთხილება: მონტგომერი, ტონგე
მსაჯი: ბენეტი
44 198 მაყურებელი

**ტოტენჰემი 4:1 ბოლტონი**

1:0 კინი (11), 2:0 ჯენასი (19), 3:0 კინი (22), 3:1 სპიდი (37პ), 4:1 ლენონი (90)
**ტოტენჰემი:** რობინსონი, ჩიმბონდა, დოუსონი, რ. როჩა, ლი, ჯენასი, ლენონი, ტაინიო (მალბრანკი 67), ზოკორა (სტალტერი 90), ბერბატოვი, კინი
მწვრთნელი: მარტინ იოლი
**ბოლტონი:** იასკელაინენი, ჰანტი, მეიტე, კამპო, ფეიე (თეიმურიანი 25), გარდნერი (პედერსენი 63), იანაკოპულოსი, ნოლანი (ვაზ ტე 76), სპიდი, ანელკა, დიუფი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
გაფრთხილება: დიუფი, მეიტე, გარდნერი, კამპო
გაძევება: კინი (36)
მსაჯი: პოლი
35 747 მაყურებელი

**უიგანი 1:0 ნიუკასლი**

1:0 რ. ტეილორი (40)
**უიგანი:** ფილანი, ბაინსი, ბოისი, ჯექსონი, რ. ტეილორი, ლანძაატი, სკოკო, ვალენსია (კამარა 61), ფოლანი, ჰესკი (კილბეინი 37), მაკკალოხი
მწვრთნელი: პოლ ჯუელი
**ნიუკასლი:** გივენი, ბრამბლი, ჰანტინგტონი (კეროლი 87), ონიევუ, ს. ტეილორი, ბათი, დაფი (ნზოგბია 62), პარკერი, სიბიერსკი, სოლანო (მილნერი 62), მარტინსი
მწვრთნელი: გლენ როედერი
გაფრთხილება: ფილანი, რ. ტეილორი, ბაინსი, მაკკალოხი, სკოკო, კამარა, ბათი, პარკერი
მსაჯი: ვაილი
21 179 მაყურებელი

**ჩარლტონი 4:0 ვესტ ჰემი**

1:0 ამბროზი (24), 2:0 ტომა (34), 3:0 დ. ბენტი (41), 4:0 ტომა (80)
**ჩარლტონი:** კარსონი, იანგი, ელ კარკური, დიავარა, ტეტჩერი, ამბროზი, ჰოლანდი, სონ-ბილიონი (ფეიე 85), ტომა, მ. ბენტი (ჰასელბაინკი 35), დ. ბენტი (ფენი 82)
მწვრთნელი: ალან პერდიუ
**ვესტ ჰემი:** გრინი, დეილი, ე. ფერდინანდი, დევენპორტი, კონჩესკი, ბენაიუნი, მალინსი (ნიუტონი 72), ქვოში, ეზერინგტონი (ჰარვუდი 46), ტევესი, ჯ. კოული (ბლანკო 59)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: ელ კარკური, სონ-ბილიონი, დიავარა, კონჩესკი, ქვოში
მსაჯი: სტაილზი
27 111 მაყურებელი

**მიდლსბრო 2:1 რედინგი**

1:0 ვიდუკა (7), 2:0 აიეგბენი (69), 2:1 ოსტერი (87)
**მიდლსბრო:** შვარცერი, დევისი, ვუდგეიტი, პოგატეცი, ტეილორი, კეტერმოლი (მორისონი 74), ბოატენგი, არკა, დაუნინგი, ვიდუკა, აიეგბენი (ლი 85)
მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი
**რედინგი:** ჰანემანი, მარტი, დაბერი, ინგიმარსონი, შორი, ჰანტი (ოსტერი 72), სიდველი, ჰარპერი, ლიტლი, ლონგი (კიტსონი 62), ლიტა
მწვრთნელი: სტივ კოპელი
გაფრთხილება: ტეილორი, ინგიმარსონი
მსაჯი: ჰალსი
26 412 მაყურებელი

**უოტფორდი 0:3 ევერტონი**

0:1 ფერნანდეში (23), 0:2 ჯონსონი (25პ), 0:3 ოსმანი (90)
**უოტფორდი:** ლი, მარიაპა, დე მერიტი, მაკეი (დოილი 46), სტიუარტი, სმიტი, ფრენსისი, მაჰოუნი, ბუაზა (მაკნამი 78), ჰენდერსონი (პრისკინი 46), კაბა
მწვრთნელი: ადრიან ბოთროიდი
**ევერტონი:** ჰოვარდი, ფ. ნევილი, იობო, ლესკოტი, ნეისმიტი, ფერნანდეში (ოსმანი 81), კარსლი, ტ. კეჰილი, არტეტა, ე. ჯონსონი (ვუგანი 77), ბიტი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
გაფრთხილება: დე მერიტი, სმიტი, ფერნანდეში
მსაჯი: მეისონი
18 761 მაყურებელი

**მანჩესტერ სიტი — ჩელსი**

გადაიდო

**ასტონ ვილა — არსენალი**

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 28 | 22 | 3 | 3 | 65:19 | 69 |
| ჩელსი | 27 | 18 | 6 | 3 | 48:19 | 60 |
| ლივერპული | 28 | 16 | 5 | 7 | 44:19 | 53 |
| არსენალი | 26 | 14 | 7 | 5 | 48:22 | 49 |
| ბოლტონი | 28 | 14 | 5 | 9 | 38:32 | 47 |
| რედინგი | 28 | 13 | 4 | 11 | 42:36 | 43 |
| ევერტონი | 28 | 11 | 9 | 8 | 36:25 | 42 |
| პორტსმუთი | 28 | 11 | 8 | 9 | 36:29 | 41 |
| ტოტენჰემი | 28 | 11 | 6 | 11 | 36:40 | 39 |
| ბლექბერნი | 28 | 11 | 4 | 13 | 33:38 | 37 |
| ნიუკასლი | 28 | 10 | 6 | 12 | 34:37 | 36 |
| მიდლსბრო | 28 | 9 | 8 | 11 | 32:34 | 35 |
| ასტონ ვილა | 27 | 7 | 11 | 9 | 28:33 | 32 |
| ფულემი | 28 | 7 | 11 | 10 | 30:43 | 32 |
| სიტი | 26 | 8 | 6 | 12 | 20:32 | 30 |
| შეფილდი | 28 | 8 | 6 | 14 | 24:40 | 30 |
| უიგანი | 28 | 8 | 5 | 15 | 29:44 | 29 |
| ჩარლტონი | 28 | 6 | 5 | 17 | 24:47 | 23 |
| ვესტ ჰემი | 28 | 5 | 5 | 18 | 18:46 | 20 |
| უოტფორდი | 28 | 3 | 10 | 15 | 16:41 | 19 |

**XXIX ტური**

3-4 მარტი

| | | |
|---|---|---|
| პორტსმუთი | : | ჩელსი |
| შეფილდი | : | ევერტონი |
| უოტფორდი | : | ჩარლტონი |
| ვესტ ჰემი | : | ტოტენჰემი |
| არსენალი | : | რედინგი |
| ბოლტონი | : | ბლექბერნი |
| ფულემი | : | ასტონ ვილა |
| ლივერპული | : | მანჩესტერი |
| სიტი | : | უიგანი |
| ნიუკასლი | : | მიდლსბრო |

### ჩემპიონატი

**XXXV ტური**

კარდიფი — პრესტონი 4:1; კოლჩესტერი — ბარნლი 0:0; კრ. პალასი — ლუტონი 2:1; ჰალი — ბირმინგემი 2:0; ლესტერი — ვესტ ბრომვიჩი 1:1; ნორვიჩი — ქოვენთრი 1:1; ქუინზ პარკი — პლიმუთი 1:1; უენსდი — საუთენდი 3:2; საუთჰემპტონი — იფსვიჩი 1:0; სანდერლენდი — დერბი 2:1; ვულვზი — ლიდსი 1:0. სტოკი — ბარნსლი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვესტ ბრომვიჩი | 35 | 18 | 9 | 8 | 62:39 | 63 |
| დერბი | 34 | 19 | 6 | 9 | 43:34 | 63 |
| ბირმინგემი | 33 | 18 | 7 | 8 | 51:33 | 61 |
| სანდერლენდი | 35 | 18 | 6 | 11 | 52:36 | 60 |
| საუთჰემპტონი | 35 | 16 | 11 | 8 | 56:39 | 59 |
| კარდიფი | 35 | 16 | 11 | 8 | 50:36 | 59 |
| პრესტონი | 34 | 17 | 8 | 9 | 50:38 | 59 |
| ვულვზი | 35 | 17 | 8 | 10 | 38:35 | 59 |
| სტოკი | 34 | 14 | 11 | 9 | 42:27 | 53 |
| კოლჩესტერი | 35 | 15 | 7 | 13 | 54:40 | 52 |
| კრ. პალასი | 35 | 13 | 9 | 13 | 42:39 | 48 |
| პლიმუთი | 34 | 11 | 14 | 9 | 46:44 | 47 |
| ლესტერი | 34 | 11 | 11 | 12 | 37:39 | 44 |
| უენსდი | 34 | 12 | 8 | 14 | 48:53 | 44 |
| ქოვენთრი | 35 | 12 | 6 | 17 | 35:47 | 42 |
| ბარნლი | 34 | 10 | 10 | 14 | 35:37 | 40 |
| იფსვიჩი | 34 | 11 | 6 | 17 | 40:46 | 39 |
| ნორვიჩი | 32 | 10 | 8 | 14 | 39:50 | 38 |
| ლუტონი | 34 | 9 | 9 | 16 | 42:56 | 36 |
| ჰალი | 34 | 9 | 8 | 17 | 35:48 | 35 |
| ქუინზ პარკი | 34 | 9 | 8 | 17 | 39:54 | 35 |
| ბარნსლი | 34 | 10 | 5 | 19 | 38:58 | 35 |
| საუთენდი | 35 | 7 | 10 | 18 | 34:56 | 31 |
| ლიდსი | 34 | 9 | 4 | 21 | 34:58 | 31 |

### პირველი ლიგა

**XXXV ტური**

ჩესტერფილდი — ნოტინგემი 1:2; ბლეკპული — მილუოლი 0:1; ბრედფორდი — ბრენტფორდი 1:1; ბრაიტონი — ბრისტოლი 0:2; ჩელტენემი — კარლაილი 0:1; დონკასტერი — პორტ ვეილი 1:0; ჰადერსფილდი — ქრიუ 1:2; ლეიტონი — ტრანმერი 3:1; ნორთჰემპტონი — როტერჰემი 3:0; ოლდემი — ბორნმუთი 1:2; სკანთორპი — ჯილინგემი 3:1; იოვილი — სუონსი 1:0

### მეორე ლიგა

**XXXV ტური**

აკრინგტონი — ლინკოლნი 2:2; ბოსტონი — ჰარტლპული 0:1; ბერი — პიტერბრო 0:3; ჰერეფორდი — როჩდეილი 0:0; მაკლსფილდი — გრიმსბი 2:1; მენსფილდი — უიკომბი 3:2; ნოტსი — დონსი 2:2; სუინდონი — ჩესტერი 1:0; ტორკი — დარლინგტონი 0:1; უოლსოლი — ბარნეტი 4:1; რექსემი — შრიუსბერი 1:3. როჯერსი — სტოკპორტი გადაიდო

### კონფერენსლიგა

**XXXIV ტური**

ალდერშოტი — რაშდენი 2:2; კემბრიჯი — სოთპორტი 2:2; დაგენემი — იორკი 2:1; ექსეტერი — ბარტონი 3:0; ფორესტ გრინი — მორეკემბი 1:3; სენტ ალბანსი — სტაფორდი 0:3; ტემუორთი — ოქსფორდი 1:3. გრეივსენდი — ნორსვიჩი და ვეიმუთი — უოქინგი გადაიდო

# იტალია

## სერია A
## XXV ტური

### მილანი 1:0 სამპდორია

1:0 ამბროზინი (90)
მილანი: დიდა, ოდო, შიმიჩი, ბონერა, იანკულოვსკი, გატუზო, ამბროზინი, ზეედორფი (პირლო 66), კაკა, რონალდო (ფ. ინძაგი 73), რ. ოლივეირა (კაფუ 12)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
სამპდორია: კასტელაცი, მაჯო, ფალკონე, აკარდი, კ. ძენონი, პაროლა (ციგლერი 65), პალომბო, ვოლპი, რ. ოლივერა, ბონაცოლი (ბაცანი 55), კალიარელა
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: ფალკონე, ოლივერა, ოლივერა, ბონაცოლი, ბონერა
გაძევება: ოდო (11), ოლივერა (39)
მსაჯი: ტალიავენტო
50 000 მაყურებელი

### კატანია 2:5 ინტერი

0:1 სამუელი (45), 0:2 სოლარი (49), 0:3 გროსო (57), 1:3 სპინეზი (65), 1:4 იბრაჰიმოვიჩი (67), 2:4 კორონა (69), 2:5 კრუზი (77)
კატანია: პანტანელი, ლუჩენტი, სტოვინი, სოტილი, ვარგასი, ბაიოკო, ედუსეი, კაზერტა (იცკო 84), ჯ. კოლუჩი (მორიმოტო 78), სპინეზი, მასკარა (კორონა 66)
მწვრთნელი: პასკუალე მარინო
ინტერი: ჟულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა, სამუელი, მაქსველი (მ. გონსალესი 74), სოლარი, ხ. ძანეტი, სტანკოვიჩი (ბურდისო 77), გროსო, კრუზი, იბრაჰიმოვიჩი (ადრიანო 68)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: სტანკოვიჩი, ბაიოკო
გაძევება: სპინეზი (88)
მსაჯი: ბერტინი
15 000 მაყურებელი

### რომა 3:0 რეჯინა

1:0 ტავანო (55), 2:0 მექსეში (65), 3:0 პანუჩი (90)
რომა: ა. დონი, პანუჩი, ფერარი, მექსეში, ტონეტო, დე როსი, დ. პიზარო, ვილჰელმსონი (ვუჩინიჩი 86), პეროტა (კასეტი 75), ტავანო (ტადეი 60), ტოტი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
რეჯინა: კამპანოლო, ჯიოზა, არონიკა, ა. ლუკარელი, მესტო, ტონოცი, ჯაკომო ტედესკო, მოდესტო (ბარილია 75), მისიროლი (ამერინი 59), ფოჯა (ნიელსენი 80), ბიანკი
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
გაფრთხილება: ფოჯა, მექსეში, პიზარო, მესტო, ბიანკი, ტოტი
მსაჯი: ტალიავენტო
40 000 მაყურებელი

### ატალანტა 1:1 პალერმო

1:0 ძამპანა (13), 1:1 დიანა (58)
ატალანტა: კალდერონი, რივალტა, ტალამონტი, ლორია (კაროციერი 74), ბელინი, დეფენდი (ფერეირა პინტუ 59), ბერნარდინი, ტისონე, არიატი, კ. დონი, ძამპანა (ვენტოლა 79)
მწვრთნელი: სტეფანო კოლანტუონო
პალერმო: ა. ფონტანა (ალიარდი 76), ბიავა, ძაკარდო, მ. პიზანო, დიანა, გუანა, კიარამიტარო (ჯოვანი ტედესკო 56), სიმპლისიო (ჯაკომაცი 90), ბრეშიანო, კარაჩოლო
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: კასანი, ტალამონტი, დონი
მსაჯი: როზეტი
18 000 მაყურებელი

### კალიარი 0:2 ლაციო

0:1 კრიბარი (21), 0:2 როკი (34)
კალიარი: ფორტინი, ფერი, ბიზერა (დ. ლოპესი 46), ბიანკო, აგოსტინი, კონტი, ბუდელი (ლანჯელა 60), ბიონდინი, კაპონე (მარკინი 68), პეპე, სუაზო
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
ლაციო: ბალოტა, ბელერი, სივილია, კრიბარი, ძაური, ბეჰრამი (ფირმანი 85), ლედესმა, მუტარელი, მაური, პანდევი (ლ. ხიმენესი 64), როკი (ტარე 90)
მწვრთნელი: დელიო როსი
გაფრთხილება: მუტარელი, კონტი, მაური, ლანჯელა, ლანჯელა
გაძევება: ლანჯელა (78)
მსაჯი: კოლომბა
20 000 მაყურებელი

### ფიორენტინა 2:0 ემპოლი

1:0 მუტუ (27), 2:0 ტონი (75)
ფიორენტინა: ფრეი, უიფალუში, დაინელი, გამბერინი, პასკუალი, ბლაზი, ლივერანი (პაზიენცა 79), მონტოლივო, იორგენსენი, ტონი (პაცინი 76), მუტუ (რეჯინალდო 83)
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
ემპოლი: ბალი, რაჯი, ლუკინი (ვანილი 25), პრატალი (მარცორატი 78), ასკოლი, ალმირონი, დ. მორო, ბუშე, ვანუკი, მატეინი (მარიანინი 46), პოცი
მწვრთნელი: ლუიჯი კანი
გაფრთხილება: ასკოლი, მონტოლივო, ვანილი, ბლაზი
მსაჯი: პაპარესტა
30 000 მაყურებელი

### უდინეზე 3:3 პარმა

0:1 ბუდანი (8), 1:1, 2:1 დი ნატალე (41, 68პ), 2:2 პარავიჩინი (78), 3:2 ობოდო (84), 3:3 როსი (86პ)
უდინეზე: დე სანქტისი, ზაპოტოჩნი, ნატალი, კოდა, მ. მოტა (სიკეირა 81), პინცი, ობოდო, მუნტარი, დოსენა, იაკინტა (გიანი 54), დი ნატალე
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
პარმა: ბუჩი, ფერონეტი (პიზანუ 72), პაჩი, პერნა, კონტინი, პ. კასტელინი, გრელა (გასბარონი 76), პარავიჩინი, დესენა, ჯ. როსი, ბუდანი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: ბუდანი, გიანი
მსაჯი: პიერი
25 000 მაყურებელი

### ლივორნო 0:0 ასკოლი

ლივორნო: ამელია, გრანდონი, პავანი, გალანტე, პასკუალე, ბალერი (სეზარი 66), კ. კოპოლა (პაულინიუ 78), პასონი (მორონე 59), ფიორე, კ. ლუკარელი
მწვრთნელი: დანიელე არიგონი
ასკოლი: ელეფთეროპულოსი, მელარა, კორალო, ნასტაზე, ფოლიო, ფინი, ბუდიანსკი, პ. ძანეტი, პესკე (ვასტოლა 78), სონჩინი, ბიელანოვიჩი (პაოლუჩი 16; ბონანი 82)
მწვრთნელი: ნედო სონეტი
გაფრთხილება: მელარა, ბუდიანსკი, ფინი, ბალერი, ფოლიო, გალანტე
მსაჯი: გირარდი
20 000 მაყურებელი

### მესინა 1:0 სიენა

1:0 ალვარესი (90)
მესინა: კალიონი, ლავეკია, ზოროკპოლო, ძანკი, პარიზი, პესტრინი (დე ვეცე 85), დავერსა, კანდელა, მაზიელო (რიგანო 56), ილიევი (ე. ალვარესი 84), ფლოჩარი
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
სიენა: მანინგერი, ბერტოტო, პორტანოვა, გასტალდელო, მოლინარო, ანტონინი, კოდრია (ბრევი 22), ვერგასოლა, კოცა (ერიომენკო 70), ფრიკი (ნეგრო 89), მაკარონე
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
გაფრთხილება: ლავეკია, პარიზი, რიგანო, ფრიკი, ილიევი
მსაჯი: პანტანა
30 000 მაყურებელი

### კიევო 3:0 ტორინო

1:0, 2:0 ბოგდანი (2, 45), 3:0 ბრიგი (47)
კიევო: სკიცი, ფ. მორო, მანდელი, დანა, ლანა, ბრიგი, სამარკო, იტალიანო (მარკოლინი 59), სემიოლი (კოსოვსკი 81), ბოგდანი, ობინა (პელისიერი 60)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
ტორინო: აბიატი, ი. ფრანჩესკინი, ბრევი, ბოვო, პანკარო, დე აშენტისი, არდიტო, ბალესტრი, ლაზეტიჩი, სტელონე (ბარონე 61), აბრუსკატო (მუცი 61)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: ბოვო, ფრანჩესკინი, ლანა, იტალიანო, ბრევი, ბოგდანი, კოსოვსკი
მსაჯი: საკანი
15 000 მაყურებელი

# ინტერი ევროგზაზე!



ზლატან იბრაჰიმოვიჩმა და მისმა თანაგუნდელებმა „კატანიაც" შეჭამეს

**ესეც** მეჩვიდმეტე! დრო მიდის, „ინტერის" მომგები კი ჯერ არ ჩანს — სერია A-ში „ნეროაძურიმ" მიჯრით უკვე მეჩვიდმეტე მატჩი მოიგო და ამ მხრივ ერთი კვირის წინ დამყარებული ევრორეკორდი გააუმჯობესა. ამჯერად რობერტო მანჩინის გუნდის მსხვერპლი „კატანიაა" — მატჩი ნეიტრალურ მოედანზე, ჩეზენაში, ცარიელ სტადიონზე გაიმართა.

მოგეხსენებათ, „კატანიას" „სტადიო მასიმინო" სეზონის ბოლომდე დისკვალიფიცირებულია.

მანჩინის ნახევარდაცვის ცენტრში ერთგვარი ექსპერიმენტის ჩატარება მოუხდა, რადგან ესტებან კამბიასო და პატრიკ ვიეირა ერთი თვე ვერ ითამაშებენ, ხოლო ოლივიე დაკური დისკვალიფიცირებული იყო. ამ პოზიციაზე ფაბიო გროსომ ითამაშა და არცთუ ურიგოდ.

ანგარიშიდანაც ჩანს, რომ „ინტერმა" დამაჯერებლად იმარჯვა. გოლების აღწერისგან თავს შევიკავებთ, იმას კი გეტყვით, რომ განსაკუთრებით ლამაზი გროსოს გოლი გამოვიდა.

გამოსარჩევია სანტიაგო სოლარის თამაშიც, ვინც ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდება. კარგად ითამაშეს დეიან სტანკოვიჩმა, ზლატან იბრაჰიმოვიჩმა და ხულიო რიკარდო კრუზმაც. აი, შეცვლაზე შესულ ადრიანოს კი განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია.

და ერთიც: 88-ე წუთზე ჯონათან სპინეზი უხეშობისთვის გააგდეს და „კატანიამ" მატჩი ათი კაცით ჩაამთავრა.

იოლად მოიგო „რომამაც", მიუხედავად იმისა, რომ 55-ე წუთამდე გოლი ვერ გაიტანა. აქ მთავარი ამბები ის იყო, რომ ფრანჩესკო ტოტიმ მიმდინარე სეზონში უკვე მეექვსე პენალტი გააფუჭა, ხოლო ფრანჩესკო ტავანომ „გლადიატორთა" მაისურით თავისი პირველი გოლი გაიტანა.

სხვაობა ფილიპ მექსეშმა გაზარდა — დავიდ პიზაროს ჩაწოდებულს შეაგება თავი.

რეჯოკალაბრიელები არ ნებდებოდნენ და დონიმ მასპინძლები ორჯერ იხსნა გოლისგან. წერტილი კი მირკო ვუჩინიჩის პასით კრისტიან პანუჩიმ დასვა.

ოთხეულისკენ სვლას აგრძელებს „ფიორენტინა". ჩეზარე პრანდელის შეგირდებმა ამ ტურამდე მეოთხე ადგილზე მყოფ და მიმდინარე სეზონში ყოჩაღად მოთამაშე „ემპოლის" სძლიეს ტოსკანურ დერბიში. „იებს" სერია A-ს ყველაზე შედეგიანი წყვილის, მუტუ-ტონის გოლებმა მოაგებინა.

მეოთხე ადგილზე კი რომის „ლაციომ" აინაცვლა, რომელმაც პირველივე ტაიმში მოუმთავრა საქმე „კალიარის". სტუმრები თავური დარტყმით ემილსონ სანჩეს კრიბარიმ დააწინაურა, მეორე კი ტომაზო როკიმ ლამაზი, მოჭრილი დარტყმით გაიტანა.

სარდინიელების ყოველგვარი იმედი 78-ე წუთზე გადაეწურათ, როცა შეცვლაზე შესულმა ანტონიო ლანჯელამ მანუელ ბელერისთან უხეშობისთვის წითელი ბარათი მიიღო.

ბერგამოში „ატალანტამ" „პალერმო" დაჯაბნა და რიკარდო ძამპანას გოლით იგებდა კიდეც, თუმცა სიცილიელებმა ბოლო 35 წუთში გაიღვიძეს და საბოლოოდ ფრე — 1:1.

საოცარი, დრამატული და უხვგოლიანი მატჩი იყო უდინეში. „უდინეზე" სამჯერ უგებდა აუტსაიდერ „პარმას", მაგრამ კლაუდიო რანიერის შეგირდებმა მაინც მოახერხეს ქულის მოპოვება.

სტუმრებს მხსნელად ისევ ახალგაზრდა ჯუზეპე როსი მოევლინათ, „მანჩესტერ იუნაიტედიდან" ნათხოვარმა თავდამსხმელმა 85-ე წუთზე ანდრეა გასბარონის წაქცევისთვის დანიშნული პენალტით მესამედ და საბოლოოდ გაათანაბრა ანგარიში.

ალბერტო ძაკერონისთვის „კიევოსთან" მატჩი „ტორინოს" თავკაცის რანგში ბოლო გამოდგა — ტურინელებმა ისევ წააგეს, თანაც გამანადგურებელი ანგარიშით 0:3.

„მფრინავმა ვირებმა" ანგარიში თავიდანვე გახსნეს — სრულიად უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ერიონ ბოგდანიმ მე-3 წუთზე გაიტანა. მანვე ტაიმის მიწურულს დაცვის მორიგი შეცდომით ისარგებლა და 2:0. მეორე ნახევრის დასაწყისში კი ვიქტორ ობინიას კროსით მატეო ბრიგიმ იხეირა.

